საქართველოს სახალხო დამცველი

დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ

2024 წლის სპეციალური ანგარიში

დოკუმენტი მომზადებულია "დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" კანონის მე-7 მუხლის საფუძველზე და წარმოადგენს "დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ"

სარჩევი

შესავალი 3

სავარაუდო დისკრიმინაციის საქმეები არჩევნებისა და საპროტესტო აქციების კონტექსტში .. 4

ჟურნალისტური საქმიანობის გამოწვევები საქართველოს პარლამენტში 9

ქალთა თანასწორუფლებიანობა 12

სექსუალური შევიწროება 13

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა 16

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები 17

დასაქმების სფეროში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაცია 17

ფიზიკური გარემოსა და სერვისების მისაწვდომობა 18

ლგბტქი+ თემის წევრების თანასწორუფლებიანობა 21

დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში 23

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიება 27

დისკრიმინაციის წახალისება 34

თანასწორობის უფლების დაცვის მიმართულებით სახალხო დამცველის საქმიანობა 35

ინდივიდუალური საქმეების შესწავლა 35

საგანმანათლებლო საქმიანობა 37

დასკვნა 40

რეკომენდაციები 40

შესავალი

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი საქართველოს პარლამენტმა 2014 წლის 2 მაისს მიიღო და საქართველოს სახალხო დამცველი, საერთო სასამართლოებთან ერთად, 10 წელია ქვეყანაში თანასწორობის უფლების დაცვის სამართლებრივი მექანიზმია.

საგულისხმოა, რომ 2024 წელს, თანასწორობის მექანიზმს შექმნიდან 10 წელი შეუსრულდა. 2014 წელს დაარსებული მექანიზმი, დისკრიმინაციის პრევენციისა და სამართლიანი, ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში, მნიშვნელოვან და ეფექტურ ინსტრუმენტს წარმოადგენს. ათწლიანი საქმიანობის განმავლობაში, თანასწორობის მექანიზმმა დაამტკიცა თავისი როლი, როგორც დისკრიმინაციის შემთხვევებზე ქმედითი რეაგირების, ისე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით.

2024 წელი თანასწორობის უფლების რეალიზაციის მხრივ არაერთი გამოწვევით ხასიათდებოდა, რაც განპირობებული იყო რიგი საკანონმდებლო ცვლილებებითა და მძიმე პოლიტიკური პროცესებით. ასევე, საარჩევნო წლის გათვალისწინებით, აქტუალური იყო ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის კუთხით არსებული ვითარება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სავალდებულო გენდერული კვოტირების გაუქმება.

2024 წელს სახალხო დამცველმა თანასწორობის საკითხებზე 7 რეკომენდაცია და 4 ზოგადი წინადადება მოამზადა. ასევე, 2 შემთხვევასთან მიმართებით მორიგების აქტი გააფორმა. ხაზგასასმელია, რომ 2014 წლიდან, მას შემდეგ, რაც ამოქმედდა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი, სახალხო დამცველმა პირველად გამოიყენა ამავე კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული - მხარეთა მორიგება.

2024 წელს სახალხო დამცველის საქმიანობა, საქმისწარმოების გარდა, არაერთ საგანმანათლებლო აქტივობას მოიცავდა. შეხვედრის მონაწილეთა ჯამურმა რაოდენობამ - **407 შეადგინა.** საგულისხმოა, რომ აღნიშნული შეხვედრები და ტრენინგები მნიშვნელოვნად ხელს უწყობს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებში თანასწორობის პრინციპების გაღრმავებასა და დისკრიმინაციის პრევენციას, რაც დეპარტამენტის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზანია.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველმა მოამზადა კვლევა „სექსუალური შევიწროება საჯარო სივრცეში“,[1] რომელშიც შესწავლილი და გაანალიზებულია მთელი საქართველოს მასშტაბით, საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების თაობაზე საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (დადგენილებები), რომლებიც სასამართლოებმა 2019 წლის 3 მაისიდან - 2023 წლის 20

[1] ანგარიში მომზადდა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4235kt1.

იანვრამდე პერიოდში მიიღეს. კვლევის მიზანია საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების შემთხვევებთან ბრძოლის მექანიზმების გაუმჯობესების ხელშეწყობა, შესაბამისად, ანგარიშის ფარგლებში რელევანტური უწყებებისადმი რეკომენდაციებია გაცემული.

წინამდებარე მე-10 სპეციალურ ანგარიშში განხილულია თანასწორობის დეპარტამენტის წარმოებაში არსებული საქმეების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია, ქვეყანაში სხვადასხვა დაუცველი ჯგუფის თანასწორუფლებიანობის მდგომარეობა, სახალხო დამცველის, როგორც თანასწორობის უზრუნველყოფის საკითხებზე ზედამხედველი ინსტიტუტის, მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების საკითხი, ასახულია უწყებებისადმი გაცემული რეკომენდაციები და მიმოხილულია რელევანტური საკანონმდებლო რეგულაციები.

სავარაუდო დისკრიმინაციის საქმეები არჩევნებისა და საპროტესტო აქციების კონტექსტში

საანგარიშო წელი განსაკუთრებით დატვირთული იყო ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური პროცესებით. განსაკუთრებით საყურადღებოა სამი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლებიც თანასწორობის უფლებისა და დემოკრატიული პრინციპების დაცვის კუთხით არსებით გამოწვევას წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველი აქტიურ ზედამხედველობას უწევდა ამ პროცესში ადამიანის უფლებების, მათ შორის, თანასწორობის დარღვევის სავარაუდო ფაქტებს და მათზე რეაგირებას პროაქტიულად ახდენდა.

(1) საანგარიშო წელს პარლამენტში კვლავ დაინიცირდა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) პროექტი. რომელთან დაკვშირებითაც,2024 წლის 30 აგვისტოს, საქართველოს სახალხო დამცველმა იუსტიციის მინისტრს, უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში რეგისტრაციის ვალდებულების მქონე ორგანიზაციებში დასაქმებულ პირთა პერსონალური მონაცემების დისკრიმინაციული ხელყოფის თავიდან აცილების თაობაზე, ზოგადი წინადადებით მიმართა[2]. გადაწყვეტილებაში სახალხო დამცველმა შეაფასა იუსტიციის მინისტრის ბრძანების[3] დისკრიმინაციულობის საკითხი და მიიჩნია, რომ პერსონალური მონაცემების საჯაროდ გამოქვეყნება გაუმართლებელია, ზიანის მომტანია და ძლიერი მბოჭავი, მსუსხავი და მასტიგმატიზირებელი ეფექტი აქვს უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში რეგისტრაციის ვალდებულების მქონე

[2] სახალხო დამცველის 2024 წლის 30 აგვისტოს ზოგადი წინადადება იუსტიციის მინისტრს, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3DCBSzQ

[3] იუსტიციის მინისტრის 2024 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №1019 „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრის წარმოების, საფინანსო დეკლარაციის წარდგენისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“

ორგანიზაციებში დასაქმებულ პირთა საქმიანობაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, იუსტიციის მინისტრს დაევალა შესაბამის ბრძანებაში ცვლილებების იმგვარად შეტანა, რომ რეესტრში წარსადგენ დეკლარაციაში არ მომხდარიყო ფიზიკური პირების პერსონალური მონაცემების *(სახელი, გვარი, პირადი ნომერი და საბანკო ანგარიშის ნომერი, სხვ.)* საჯაროდ გამოქვეყნება.

2024 წლის 20 სექტემბერს იუსტიციის მინისტრმა ნაწილობრივ გაითვალისწინა სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება, რის შედეგადაც, რეგისტრაციის ვალდებულების მქონე ორგანიზაციებს აღარ ეკისრებათ ყოველწლიურად წარსადგენ საფინანსო დეკლარაციებში დასაქმებულთა, ასევე სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მყოფ პირთა თუ ბენეფიციართა პირადი ნომრების, საბანკო ანგარიშის ნომრების და საფინანსო ინსტიტუტების ასახვა[4]. სახალხო დამცველმა დადებითად შეაფასა აღნიშნული ცვლილებები, ვინაიდან მნიშვნელოვნად ამცირებს ინდივიდების მიმართ რეგულაციების ნეგატიურ ზეგავლენას, თუმცა სრულად ვერ ასახავს და არ მიიღწევა სახალხო დამცველის მიერ გაცემული წინადადების მიზანი, ვინაიდან რეგისტრაციის ვალდებულების მქონე ორგანიზაციების მიერ წარდგენილ დეკლარაციის ფორმებში კვლავ რჩება მითითებული ფიზიკურ პირთა სახელები და გვარები.[5] **შესაბამისად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ უმნიშვნელოვანესია იუსტიციის სამინისტრომ გაცემული რეკომენდაციის სრულყოფილი შესრულება უზრუნველყოს.**

(2) მიმდინარე საანგარიშო პერიოდი საარჩევნო წელს დაემთხვა, რაც, თავის მხრივ, წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის რისკებს მნიშვნელოვნად ზრდის[6]. ქვეყანაში არსებული მძიმე პოლარიზაციის ფონზე, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებისა და სამოქალაქო პოზიციის საჯაროდ გამოხატვა პირებს დისკრიმინაციული მოპყრობის მარტივ სამიზნეებად აქცევდა და მოქალაქეებიც აქტიურად მიუთითებდნენ, პოლიტიკური შეხედულების ნიშნით, სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევებზე.

წინა საარჩევნო წლებისგან განსხვავებით, პოლიტიკური შეხედულებების გამო, სამსახურებიდან გათავისუფლების ან/და სამსახურებრივად შევიწროების შესახებ განცხადებით მოქალაქეებს აპარატისთვის არ მოუმართავთ. თუმცა, სახალხო დამცველის აპარატი საკუთარი ინიციატივით, პროაქტიულად რეაგირებდა, მედიით თუ სხვადასხვა საჯარო წყაროს მიერ გავრცელებულ ყველა სავარაუდო დისკრიმინაციის საქმეზე. მაგალითად, აპარატმა საჯარო სკოლების დირექტორებისა[7]

[4] ხელმისაწვდომია:. https://matsne.gov.ge/ka/document/view/6274057?publication=0

[5] სახალხო დამცველის 2024 წლის 30 სექტემბრის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4iO0B4j

[6] საქართველოს სახალხო დამცველის შეფასება წინასაარჩევნო პერიოდში ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევებთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3PaV1eM

[7] ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3zlRjuE

და საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილის გათავისუფლების[8] საკითხთან დაკავშირებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციის წარმოდგენის მოთხოვნით მიმართა. მოკვლევის ეტაპზე გაირკვა, რომ სამივე პირს სასამართლოსთვის ჰქონდათ მიმართული, რის გამოც აპარატმა საკითხის შესწავლის გაგრძელება ვერ შეძლო[9]. ამასთანავე, სახალხო დამცველმა, საკუთარი ინიციატივით, დაიწყო მოკვლევა საჯაროდ გავრცელებულ ორ შემთხვევაზეც, რომელშიც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები შრომით ურთიერთობაში, შესაძლო პოლიტიკური მოტივით, მიღებულ გადაწყვეტილებაზე მიუთითებდნენ.[10] საპასუხო კორესპონდენციაში უნივერსიტეტებმა განმარტეს, რომ 2024 წლის შემოდგომის სემესტრში აღნიშნულ პირებთან შრომითი ხელშეკრულების არ გაფორმების საფუძველი სათანადო დატვირთვის საჭიროებისა და შესაბამისი მიმართულების მიმართვის არ არსებობა გახდა. ზემოაღნიშნული შემთხვევების გარდა, სახალხო დამცველმა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერსაც მიმართა. „თეთრიწყაროს ახალგაზრდულ ცენტრს“, მერიისგან ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების ვადის გაგრძელებაზე უარი ეთქვა[11]. ორგანიზაცია უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში არ დარეგისტრირდა, ხოლო ცენტრის დირექტორი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონთან დაკავშირებით კრიტიკულ პოზიციას ღიად გამოხატავდა[12]. საგულისხმოა, რომ სამივე შემთხვევასთან მიმართებით, სახალხო დამცველის აპარატს კომუნიკაცია ჰქონდა დისკრიმინაციის სავარაუდო მსხვერპლებთან, თუმცა მათ, საკითხის შესწავლის გაგრძელებისათვის საჭირო ინფორმაცია და მტკიცებულებები აპარატისთვის არ წარმოუდგენიათ[13].

საანგარიშო პერიოდში, ასევე, გამოიკვეთა, სავარაუდოდ, პოლიტიკური შეხედულების გამო, მასწავლებლის ეროვნული დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, მასწავლებელთა დასაჯილდოებელ პედაგოგთა სიიდან ამოღების ფაქტები.[14]

---

[8] ხელმისაწვდომია: https://bit.ly/41LHQJ1

[9] **შენიშვნა:** „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველო კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე, სახალხო დამცველი აჩერებს საქმისწარმოებას, თუ სავარაუდო დისკრიმინაციის იმავე ფაქტის გამო დავას სასამართლო განიხილავს, ხოლო, საქმისწარმოებას წყვეტს იმ შემთხვევაში, თუ იმავე ფაქტთან დაკავშირებით, საქმეზე უკვე არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება

[10] ხელმისაწვდომია: https://tabula.ge/ge/news/723584-sadzaglishvili-tsu-m-chemtan-urtiertobis
https://www.facebook.com/100001611597991/posts/8775285092535123/?rdid=IIIhGak7ZTwS4BNb

[11] ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3VQSmLe

[12] **შენიშვნა:** თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, აღნიშნულ ფართში დაგეგმილი იყო ა.(ა).ი.პ ,,თეთრიწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრის“ ფუნქციონირება, რამაც ხელშეკრულის ვადის გაგრძელებაზე უარის თქმა განაპირობა

[13] **შენიშვნა:** მოპასუხე უწყებებისგან მიღებული ინფორმაციის გარდა, დისკრიმინაციული მოტივების შესაფასებლად თუ დასადგენად, აუცილებელია, დისკრიმინაციის სავარაუდო მსხვერპლების მიერ მტკიცებულებების წარმოდგენა

[14] ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/photo/?fbid=8075524389220933&set=a.510429739063807

შემთხვევა შეეხება მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის და დაბა მესტიის N2 საჯარო სკოლის ორგანიზებით ჩატარებულ ღონისძიებას, სადაც წინასწარ განსაზღვრული სიიდან სამი მასწავლებელი სხვა პირებით ჩაანაცვლეს. უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველის აპარატში საქმისწარმოება მიმდინარეა, რაც წინასწარი დასკვნების გაკეთებას შეუძლებელს ხდის.

სახალხო დამცველი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის პრევენცია და თანასწორი გარემოს უზრუნველყოფა დემოკრატიული პროცესის სიძლიერისა და ლეგიტიმურობის ფუნდამენტური წინაპირობაა. თანასწორი გარემო ხელს უწყობს მოქალაქეთა აქტიურ ჩართულობასა და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობას, ამცირებს პოლარიზაციას და ქმნის სოციალური სტაბილურობისთვის აუცილებელ პირობებს. ამასთან, თანასწორობის დაცვა ხელს უწყობს ქვეყნის პოზიტიური იმიჯის ჩამოყალიბებას და საზოგადოების ნდობის გაძლიერებას სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი. შესაბამისად, პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის პრევენცია კრიტიკულად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ადამიანის უფლებების დაცვის, არამედ დემოკრატიული სახელმწიფოს მდგრადობისთვის.

(3) მას შემდგომ, რაც ხელისუფლებამ განაცხადა, 2028 წლის ბოლომდე დღის წესრიგში არ დააყენებს ევროკავშირთან მოლაპარაკების გახსნის საკითხს[15], საჯარო სამსახურში დასაქმებული არაერთი მოხელე მიღებულ გადაწყვეტილებას საჯაროდ გაემიჯნა და ხელისუფლებას ევროპული კურსის შენარჩუნებისკენ მოუწოდა[16]. რასაც მალევე მოჰყვა გამოხმაურება ადგილობრივი და სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებისგან.[17] რის შემდეგაც დაინიცირდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პაკეტი, რომელსაც სახალხო დამცველი საჯარო განცხადებით გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ იგი მნიშვნელოვნად ამცირებს საჯარო სამსახურში დასაქმებულთა შრომითი უფლებების დაცვის გარანტიებს და ეწინააღმდეგება თავად საჯარო სამსახურის პრინციპებს[18]. საგულისხმოა ისიც, რომ საკანონმდებლო პროცესი დაჩქარებული წესით, დაინტერესებული საზოგადოების თუ შესაბამისი დარგის სპეციალისტების ჩართულობის

[15] ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33219304.html

[16]ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/yb638fut; https://tinyurl.com/2jp4jx7a; https://tinyurl.com/43284w2h; https://tinyurl.com/2sbs3e27; https://tinyurl.com/5n6v3ybx; https://tinyurl.com/3nuz8xu7; https://tinyurl.com/4ddc5df5; https://tinyurl.com/4msuuxa9; https://tinyurl.com/52hb7b8p; https://tinyurl.com/2mkdnw3m; https://tinyurl.com/5n6b3xeh; https://tinyurl.com/mucaj38x; https://tinyurl.com/5yf94p3s; https://tinyurl.com/mumdvvf8; https://tinyurl.com/2e3npmfy; https://tinyurl.com/4vr8yz4p; https://tinyurl.com/26jstknk; https://tinyurl.com/2pcb7sra

[17] ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/25nc9ncb , https://bit.ly/4go1Tl2, https://tabula.ge/ge/news/726736-kaladzem-tbilisis-multipunktsiuri-bibliotekebis

[18] განცხადება ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/5n7rcv58

გარეშე წარიმართა. საბოლოოდ, კანონპროექტი მესამე მოსმენით 9 დღეში, 2024 წლის 13 დეკემბერს, იქნა მიღებული.

წარმოდგენილი კანონპროექტი, თავდაპირველადვე, მნიშვნელოვნად ზღუდავდა საჯარო მოხელეთა უფლებების დაცვის გარანტიებს, თუმცა, მეორე მოსმენით განხილვისას, კანონპროექტი არსებითად შეიცვალა, და შედეგად, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, პროფესიული საჯარო მოხელეების ნაცვლად, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებად განისაზღვრნენ, რამაც, მნიშვნელოვნად შეამცირა აღნიშნული პირების შრომითი უფლებების დაცვის გარანტიები და განსხვავებული მოსაზრებით დიკრიმინაციისადმი მოწყვლადი გახადა.. ამგვარი ინტერვენციები სერიოზულ საფრთხეს უქმნის საჯარო სამსახურის ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს რეგულაცია, ასევე, გავრცელდა საქართველოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, ანალოგიურ საფეხურზე დასაქმებულ პირებზეც.

საჯარო მოხელეების მხრიდან პოზიციების ღიად დაფიქსირებისა და „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მესამე მოსმენით მიღების შემდგომ, საჯარო მოხელეებისა და საჯარო უწყებებში ხელშეკრულებით დასაქმებული პირების შრომითი ურთიერთობის დასრულების თაობაზე არაერთი ინფორმაცია გავრცელდა[19]. თითოეული გათავისუფლებული შრომითი ურთიერთობის დასრულების საფუძვლად ქვეყნის ევროინტეგრაციის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებით კრიტიკული პოზიციის ღიად გამოხატვას მიუთითებდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა მნიშვნელოვნად მიიჩნია საჯარო განცხადება გაევრცელებინა და საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელებისთვის თანასწორობის პრინციპისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის აუცილებლობაზე მიეთითებინა[20]. სახალხო დამცველი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დაუშვებელია საჯარო მოხელეთა გათავისუფლება მათ მიერ ღიად გამოხატული სამოქალაქო პოზიციისა თუ მოსაზრებების გამო. ასევე, დაუშვებელია, დისკრიმინაციული ქმედებისთვის კანონიერი საფუძვლის შექმნის მოტივით, დაკავებული პოზიციის საკუთარი სურვილით დატოვებასთან დაკავშირებით, რაიმე სახის მითითების მიცემა, რამდენადაც აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის არა მხოლოდ თანასწორობის უფლებასა და დისკრიმინაციისგან დაცვის პრინციპთან, ასევე, მიმართულია გამოხატვის თავისუფლების უფლებით სარგებლობის შეზღუდვისკენ.

---

[19]ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/nyncvhda; https://tinyurl.com/4ktjx94r; https://tinyurl.com/nha7jtet; https://tinyurl.com/2s36phbs; https://tinyurl.com/bdc35b4w; https://tinyurl.com/mrt87wmc; https://tinyurl.com/y5u2rmhf; https://tinyurl.com/48vkvkme; https://tinyurl.com/4wk4fpyh; https://tinyurl.com/muefd57f; https://tinyurl.com/yc6rssvc; გათავისუფლებულების შესახებ ვრცელი ინფორმაცია ასახულია: https://tinyurl.com/msxkf9ea

[20] სახალხო დამცველის 2024 წლის 11 დეკემბრის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3P8HLYd

მიმდინარე ეტაპისთვის, შრომითი ურთიერთობის დასრულებასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველს განცხადებით სსიპ იუსტიციის სახლისა და საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრის პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებმა და სპეციალისტებმა მომართეს. ყველა მათგანი მიუთითებს, რომ შეუერთდნენ ევროინტეგრაციის კურსისა და საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლის მხარდასაჭერად გავრცელებულ განცხადებას. საგულისხმოა, რომ სსიპ იუსტიციის სახლის პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების გათავისუფლების საფუძველი „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილება გახდა, რომლის საფუძველზეც, მათ ჯერ ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების სტატუსი მიენიჭათ, ხოლო რამდენიმე დღეში ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ გაფრთხილება მიიღეს.[21]

სახალხო დამცველი ცალსახად აღნიშნავს, რომ საჯარო სამსახურში მიღებული ნებისმიერი საკადრო გადაწყვეტილება სრულად უნდა შეესაბამებოდეს შრომის უფლების დაცვის კონსტიტუციურ გარანტიებს.[22] აუცილებელია, სახელმწიფომ უზრუნველყოს ადამიანის უფლებების დაცვის მყარი მექანიზმები და სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული პოლიტიკა, რათა თავიდან აიცილოს დისკრიმინაციის რისკები და ხელი შეუწყოს თანასწორობის პრინციპების დაცვას. პრობლემის გაანალიზება და მათი პრევენციისთვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა კრიტიკულად მნიშვნელოვანია ქვეყანაში დემოკრატიული სტანდარტების შესანარჩუნებლად.

ჟურნალისტური საქმიანობის გამოწვევები საქართველოს პარლამენტში

საანგარიშო წელს არაერთხელ გამოიკვეთა ჟურნალისტებისთვის პარლამენტის ტერიტორიაზე მუშაობის შეზღუდვის პრაქტიკა. ერთი მხრივ, პარლამენტში რამდენჯერმე ამოქმედდა ე.წ. „უსაფრთხოების ყვითელი დონე," რომლის მოქმედების პერიოდშიც, ონლაინ მედიის წარმომადგენლებს პარლამენტის სასახლეში შესვლა ეზღუდებოდათ. მეორე მხრივ კი, სახალხო დამცველის აპარატმა მიიღო ოთხი განცხადება, რომლებიც კრიტიკული მედიის წარმომადგენლებისთვის აკრედიტაციის შეჩერებას შეეხებოდა.

---

[21] სახალხო დამცველმა საკუთარი ინიციატივით წარმოება, ასევე, დაიწყო მედიაში გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც დამსაქმებლის (კაფე "ბლანქ") მხრიდან, საპროტესტო აქციებში მონაწილეობის გამო, 7 თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლებას შეეხებოდა (ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/mvt8bs2x). გარდა დასახელებული საქმეებისა სახალხო დამცველის აპარატში მიმდინარეობს საქმისწარმოება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში დასაქმებული პირის განცხადებასთან დაკავშირებით, რომელშიც საუბარია შრომითი უფლების შესაძლო დარღვევისა და განსხვავებული მოსაზრების ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციული მოპყრობის თაობაზე.

[22] სახალხო დამცველის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-sajaro-datsesebulebebshi-dasakmebulta-uflebebis-shesakheb.

პარლამენტის შენობაში ჟურნალისტების დაშვების შეზღუდვის საკითხის შესწავლა სახალხო დამცველის აპარატმა ხუთი ონლაინ გამოცემის წარმომადგენლების კოლექტიური განცხადების საფუძველზე დაიწყო.[23] განმცხადებლები დისკრიმინაციულად მიიჩნევდნენ პრაქტიკას, რომლის ფარგლებშიც **ე.წ. „უსაფრთხოების ყვითელი დონის“ მოქმედებისას, შეზღუდვა არ ეხებოდათ მხოლოდ ტელემაუწყებლების/ტელემედია საშუალებების აკრედიტებულ ჟურნალისტებს.** <u>შესაბამისად, ონლაინ მედიის ჟურნალისტები გამონაკლისის მიღმა რჩებოდნენ და პარლამენტში ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელებას ვერ ახერხებდნენ.</u>

საკითხის შესწავლის შედეგად, გამოვლინდა, რომ 2024 წლის აპრილამდე, მსგავსი შეზღუდვები მედიის წარმომადგენლებს (საქმიანობის პლატფორმის მიუხედავად) არცერთ შემთხვევაში არ შეხებიათ. კერძოდ, მედია საშუალებები სრულად მოექცნენ შეზღუდვებისგან გამონაკლისებში 2023 წელს, როდესაც პარლამენტის შენობაში დაშვების შეზღუდული რეჟიმი რვაჯერ ამოქმედდა და, ასევე, 2024 წლის თებერვლის თვეში ორჯერ დაწესებული შეზღუდვებისას.[24] გამონაკლისის მათზე არ გავრცელება გულისხმობს იმას, რომ ყველა აკრედიტებულ ჟურნალისტს ჰქონდა საქართველოს პარლამენტის შენობაში მუშაობის შესაძლებლობა, მიუხედავად იმისა ტელემედიას წარმოადგენდა თუ ონლაინ მედიას.

აღნიშნული პრაქტიკის საწინააღმდეგოდ, 2024 წლის 15 აპრილიდან[25] კი, შეზღუდული რეჟიმის მოქმედებისას, პარლამენტის შენობაში ჟურნალისტური საქმიანობის შესაძლებლობა <u>**მხოლოდ ტელემაუწყებლების/ტელემედია საშუალებების აკრედიტებულ ჟურნალისტებს შეუნარჩუნდათ.**[26]</u> მსგავსი რეჟიმი პარლამენტში მოქმედებდა 2024 წლის 15-19 აპრილს, 29-30 აპრილს, 1 მაისს, 13 მაისიდან თვის ბოლომდე პერიოდში არაერთი დღით, 28 ივნისს, 25-28 ნოემბერს და 6-12 დეკემბერს.[27] აღსანიშნავია, რომ მაისში პარლამენტში არაერთხელ

---

[23] განცხადება N687/2024.

[24] საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 8 თებერვლის განცხადება, ხელმისაწვდომია: http://bit.ly/3PbFY4J; 2023 წლის 5 მარტის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/49S7NbB; 2023 წლის 6 მარტის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/41G3fTQ; 2023 წლის 24 მარტის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/41LoP9i; 2023 წლის 31 მარტის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3P9l0U3; 2023 წლის 30 ივნისის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/49SUMik; 2023 წლის 22 სექტემბრის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4iRfiDN; 2023 წლის 18 ოქტომბრის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4god3q3; 2024 წლის 4 თებერვლის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/41OisCe; 2024 წლის 21 თებერვლის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3PfeOcZ.

[25] „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის საპარლამენტო განხილვებისა და აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებული საპროტესტო აქციების პერიოდი.

[26] საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 14 აპრილის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3PnVwCy.

[27] იქვე; საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 16 აპრილის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3PsQ01C; 2024 წლის 17 აპრილის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4iZnuSy; 2024 წლის 18 აპრილის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4a8gD5b; 2024 წლის 18 აპრილის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4h6uPxT; 2024 წლის 29 აპრილის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4h5EEfx; 2024 წლის 29 აპრილის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/420ybOP; 2024 წლის 1 მაისის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3DLu8M5; 2024 წლის 12 მაისის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4h9nOg1; 2024 წლის 14 მაისის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4gKLcjQ; 2024 წლის 26 მაისის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4h9fFrT; 2024 წლის 27 ივნისის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/42673hl; 2024 წლის 24 ნოემბრის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/40nzTZ8; 2024 წლის 25 ნოემბრის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/40sBWvm; 2024 წლის 28 ნოემბრის განცხადება, ხელმისაწვდომია:

ამოქმედდა, აგრეთვე, უსაფრთხოების წითელი დონე და ყვითელი დონის ისეთი ფორმა, რომლის ფარგლებშიც, შენობაში დაშვება და ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელება შეზღუდული ჰქონდათ ტელემაუწყებლების/ტელემედია საშუალებების აკრედიტებულ ჟურნალისტებსაც.[28] უსაფრთხოების ყვითელი დონის მოქმედებისას, პარლამენტის შენობაში ჟურნალისტური საქმიანობის შესაძლებლობა ონლაინ მედია საშუალებებს მიეცათ მხოლოდ 14 დეკემბერს იმ ჯგუფების საშუალებით, რომლებსაც საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების გაშუქებისთვის მიღებული ჰქონდათ სპეციალური ერთჯერადი აკრედიტაცია.[29]

სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს პარლამენტის აპარატისგან გამოითხოვა ინფორმაცია იმ ლეგიტიმური მიზნების შესახებ, რომელთაც საქმიანობის პლატფორმის მიხედვით (ტელემაუწყებლები/ტელემედია და ონლაინ მედია), ჟურნალისტთა მიმართ დიფერენცირებული მიდგომა ემსახურებოდა.[30] თუმცა, საპასუხო კორესპონდენციით,[31] აპარატს მხოლოდ მიეთითა იმ ნორმატიულ დებულებაზე, რომელიც, პარლამენტის სასახლეში სამუშაო გარემოს ან/და უსაფრთხო გარემოს დარღვევის რისკის არსებობის შემთხვევაში, აკრედიტაციის მქონე ჟურნალისტისთვის შენობაში შესვლის შეზღუდვის უფლებამოსილებას ითვალისწინებს.[32]

სახალხო დამცველი ხაზს უსვამს ონლაინ მედიის განსაკუთრებულ როლს თანამედროვე სამყაროში. მაშინ, როდესაც ინტერნეტმა, ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით, მოსახლეობის დიდი ნაწილის ყოველდღიურობაში, ფაქტობრივად, განუყოფელი ადგილი დაიკავა, შეიძლება ითქვას, სწორედ ონლაინ გამოცემებმა შეითავსეს საზოგადოებისთვის ინფორმაციის სწრაფი და ეფექტიანი გზით მიწოდების არსებითი როლი. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს პარლამენტში აკრედიტირებული ჟურნალისტების აბსოლუტური უმრავლესობა (290 ჟურნალისტი 340-დან)[33] ტელევიზიის წარმომადგენლია, გაუგებარია რა ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება საქმიანობის პლათფორმის მიხედვით პარლამენტის შენობაში ჟურნალისტური საქმიანობის შეზღუდვა.

ჟურნალისტური საქმიანობის შესახებ სახალხო დამცველის აპარატის წარმოებაშია ასევე[34] „ფორმულას“, „მთავარი არხისა“ და „ტვ პირველის“ ცალკეული წარმომადგენლებისთვის ერთი თვით ან ექვსი თვით საქართველოს პარლამენტში ჟურნალისტის აკრედიტაციის

---

https://bit.ly/4jbfAWv; 2024 წლის 6 დეკემბრის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4h8r638; 2024 წლის 12 დეკემბრის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ZZNNiI.

[28] საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 2 მაისის განცხადებები, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/407xRuX; https://bit.ly/423HI7A; 2024 წლის 3 მაისის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/40Az67D; 2024 წლის 11 მაისის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4fOMZ6n; 2024 წლის 14 მაისის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3WcEPh0; 2024 წლის 29 ნოემბრის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4h8OU6G.

[29] საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 14 დეკემბრის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/40oygue.

[30] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 24 მაისის N2024/1355 წერილი.

[31] საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის 2024 წლის 14 ივნისის N4287/2-1/24 წერილი.

[32] „საქართველოს პარლამენტის სასახლეში უსაფრთხოების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2023 წლის 4 სექტემბრის N1/259/23 ბრძანება, მუხ. 8.2(„ბ.გ.“).

[33] იხ. შალვა პაპუაშვილის 2024 წლის 16 აპრილის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3DL7GCS.

[34] N2194/2024, N2196/2024, N2230/2024 და N2376/2024 განცხადებები.

შეჩერების საქმეები, პარლამენტის წევრის მიერ ინტერვიუს ჩაწერაზე უარის თქმის მიუხედავად, ინტერვიუს ჩაწერის მცდელობის გაგრძელების საფუძვლით.[35]

სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს პარლამენტიდან გამოითხოვა დეტალური ინფორმაცია ჟურნალისტებისთვის აკრედიტაციის შეჩერების შემთხვევებისა და შესაბამისი პროცედურების თაობაზე.[36] კერძოდ, აპარატი დაინტერესდა: რომელი მედიის წარმომადგენლებს, ვისი მიმართვის საფუძველზე და რა ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით შეუჩერდათ აკრედიტაცია 2023-2024 წლებში; თუ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც ჟურნალისტისთვის აკრედიტაციის შეჩერების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა; როგორია მსგავსი მოთხოვნების განხილვის პროცედურა და რამდენად ეძლევათ ჟურნალისტებს შესაბამის პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა; ასევე, აქვთ თუ არა ჟურნალისტებს აკრედიტაციის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა და ასეთი საჩივრების არსებობის შემთხვევებში, რა შედეგებით დასრულდა შესაბამისი შიდა თუ სასამართლო განხილვები. **საპასუხო კორესპონდენცია აპარატს ამ დრომდე არ მიუღია.**

სახალხო დამცველი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჟურნალისტების მიმართ გატარებული ნებისმიერი ღონისძიება თანასწორობის პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს და იმედოვნებს, რომ მომავალ საანგარიშო წელს საქართველოს პარლამენტში ჟურნალისტური საქმიანობის შეზღუდვის პრაქტიკა, რომელიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, სრულად აღმოიფხვრება.

ქალთა თანასწორუფლებიანობა

საანგარიშო წელს ქალთა მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა კვლავ არსებით გამოწვევად რჩება. საარჩევნო წლის გათვალისწინებით, აქტუალური იყო ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის კუთხით არსებული ვითარება, რაც, გენდერული კვოტირების გაუქმების გათვალისწინებით, ცალსახად, უარყოფითად უნდა შეფასდეს. ამასთან, სახალხო დამცველმა ერთ-ერთ საქმეში ორსულობისა და მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობის შემდეგ, დასაქმებულის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა დაადგინა, რაც შვებულების აღნიშნული ფორმით სარგებლობის საკითხის სიღრმისეულ მოკვლევას დაედო საფუძვლად.[37]

იმის გათვალისწინებით, რომ სქესის ნიშნით დისკრიმინაციულ მოპყრობას, მეტწილად, საზოგადოებაში მყარად ფესვგადგმული სტერეოტიპები და გენდერული როლები განაპირობებს, ყურადსაღები იყო საჯარო სკოლებში სასკოლო ფორმებთან დაკავშირებით

[35] „საქართველოს პარლამენტში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავჯდომარის 2023 წლის 6 თებერვლის N1/31/23 ბრძანება, მუხ. 15.2(„გ“).

[36] საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 15 ივლისის N2024/2828 წერილი; საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 12 სექტემბრის N2024/4486 წერილი.

[37] სახალხო დამცველის 2024 წლის 8 თებერვლის რეკომენდაცია https://shorturl.at/JRdym

განხილული საქმეები.[38] სახალხო დამცველმა სქესის/გენდერის ნიშნით დისკრიმინაციის წახალისება დაადგინა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის საჯარო სკოლაში, სადაც მოსწავლე გოგოებს შარვლის ჩაცმა ეკრძალებოდათ.[39] ანალოგიურ შეზღუდვასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის აპარატს სხვა საჯარო სკოლის თაობაზეც მომართეს, სადაც, განმცხადებლის განმარტებით, აკრძალვა მასწავლებლებზეც ვრცელდებოდა. შესაბამისი წერილობითი და ზეპირსიტყვიერი კომუნიკაციით, ორივე სკოლის დირექტორს განემარტა, რომ ჩაცმულობასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი არადისკრიმინაციულობის პრინციპს უნდა იცავდეს და დაუშვებელია, სკოლამ თვითნებურად განსაზღვროს მოსწავლეთა ჩაცმის წესები და გოგოებს შარვლის ჩაცმის უფლება აუკრძალოს. მოპასუხეებს მიეცათ მითითება, სკოლებში თანასწორობის პოლიტიკა გაატარონ და სასკოლო ფორმასთან მიმართებით, მოსწავლეების არჩევანის თავისუფლება უზრუნველყონ.

სახალხო დამცველი ხაზს უსვამს ევროსაბჭოს განმარტებას, რომ გენდერზე დაფუძნებული სტერეოტიპები და მოლოდინები გავლენას ახდენს გოგონებისა და ბიჭების თვითაღქმაზე, პიროვნების ჩამოყალიბებაზე, ჯანმრთელობაზე, უნარების შეძენაზე, ინტელექტუალურ განვითარებაზე, სოციალურ ინტეგრაციასა და გენდერულ ურთიერთობებზე.[40] შესაბამისად, სქესის ნიშნით დისკრიმინაციის თავიდან აცილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასკოლო გარემოში, რათა საზოგადოებრივი ცხოვრების შემდგომ ეტაპებს მოსწავლეები თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობით აღზრდილნი შეხვდნენ, რაც სამომავლო დისკრიმინაციის შემთხვევების პრევენციას შეუწყობს ხელს.

სექსუალური შევიწროება

2024 წელს სექსუალური შევიწროების ფაქტები დადგინდა სხვადასხვა სივრცეში - საგანმანათლებლო დაწესებულებაში, დასაქმების ადგილზე და მომსახურების მიღების პროცესში. აგრეთვე აღსანიშნავია საგამოძიებო უწყების წარმომადგენლის მხრიდან ჩადენილი სავარაუდო სექსუალური შევიწროების საქმე.

საგანმანათლებლო სივრცეებში დაქვემდებარებითი ურთიერთობისა და ძალთა დისბალანსის გათვალისწინებით, განსაკუთრებით საყურადღებო იყო ერთ-ერთი უნივერსიტეტის ლექტორის მხრიდან სტუდენტის მიმართ განხორციელებული სექსუალური შევიწროების შემთხვევა.[41] საქმეში სექსუალური შევიწროების შემადგენლობა შექმნა ლექტორის მხრიდან სტუდენტის *პირადი ცხოვრების დეტალებით დაინტერესებამ, დასალევად დაპატიჟებამ, განმარტოებით დაკეტილ ბინაში შეხვედრის შეთავაზებამ* და *ფამილარული ტერმინით*

[38] N15031/23 და N497/2024 განცხადებები.

[39] საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 28 თებერვლის ზოგადი წინადადება ახალსოფლის საჯარო სკოლის დირექტორს https://bit.ly/408sBYb.

[40] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4a8AmSk.

[41] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 26 თებერვლის რეკომენდაცია კ.დ.-ს და ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორს, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3BNs0TG.

მიმართვამ, რითიც მისი ქმედებები აკადემიური ქცევის სტანდარტებსა და სტუდენტსა და ლექტორს შორის დაშვებული ურთიერთობის ფარგლებს გასცდა. აღსანიშნავია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს აგრარულმა უნივერსიტეტმა შემავიწროებელთან ხელშეკრულება შეწყვიტა, რაც, ცალსახად, მისასალმებელია.

არანაკლებ საზიანოა შრომით ურთიერთობებში სექსუალური შევიწროების შემთხვევები, რასაც არა მხოლოდ მსხვერპლის კეთილდღეობაზე აქვს უარყოფითი გავლენა, არამედ ორგანიზაციულ კულტურასაც აზიანებს. მსგავსი ფაქტი დადგინდა ერთ-ერთ კერძო კომპანიასთან მიმართებით, რომლის ხელმძღვანელი კაცი კომპანიის საკუთრებაში არსებული გასაქირავებელი ბინის აბაზანიდან შიშველი, მხოლოდ წელზე პირსახოცშემოხვეული გამოვიდა, რამაც მის თანამშრომელ ქალს ღირსების შემლახველი/დამაშინებელი გარემო შეუქმნა და, საბოლოოდ, იძულებული გახადა, სამუშაო ადგილი დაეტოვებინა.[42] შესაბამისად, სახალხო დამცველმა კომპანიის ხელმძღვანელს რეკომენდაციით მიმართა მომავალში, სამუშაო ადგილზე თუ სხვა ურთიერთობებში, არ განახორციელოს სექსუალური შევიწროება და არ შეუქმნას ადამიანებს შეურაცხმყოფელი, დამაშინებელი ან/და მათი ღირსებისთვის შეუსაბამო გარემო. ამასთან, მოუწოდა - შეიმუშაოს შიდა ორგანიზაციული დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სავარაუდო სექსუალური შევიწროების შემთხვევის შესწავლის პროცედურები მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომებით.

სახალხო დამცველმა საკუთარი ინიციატივით შეისწავლა საქმე, რომელიც სამედიცინო დაწესებულების დაცვის თანამშრომლის მხრიდან მომხმარებლის სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტს შეეხებოდა.[43] უფლებამოსილ ორგანოთაგან ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად, დადგინდა, რომ მომხმარებლის მიერ საპატრულო პოლიციის ინფორმირების საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება თბილისის საქალაქო სასამართლოს მხრიდან შესაბამისი პირის სამართალდამრღვევად ცნობით და მისთვის ადმინისტრაციული სახდელის სახით ჯარიმის დაკისრებით დასრულდა. მისასალმებელია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ფაქტთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ეფექტიანი რეაგირება განახორციელა. თუმცა, როგორც მოქალაქესთან კომუნიკაციის შედეგად გამოვლინდა, პრობლემური იყო შესაბამისი სამართლებრივი პროცესებისა და შედეგების თაობაზე მისი დროული ინფორმირება.

მსგავსი საქმეები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საჯარო და კერძო დაწესებულებებში სექსუალური შევიწროების აკრძალვასა და მასზე რეაგირებასთან დაკავშირებული შიდა რეგულაციების შემუშავების მნიშვნელობას, რათა თითოეული დასაქმებული იმთავითვე ინფორმირებული იყოს დამსაქმებლის მხრიდან ამგვარი ქმედებების შეუწყნარებლობისა და შესაბამისი სამართლებრივი (დისციპლინური) შედეგების თაობაზე.

---

[42] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 27 თებერვლის რეკომენდაცია შპს „სუპტროპიკ სითის“ დირექტორს, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3DJqsL1.
[43] საქმე N2024-1193.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველმა მოამზადა კვლევა „სექსუალური შევიწროება საჯარო სივრცეში“,[44] რომელშიც შესწავლილი და გაანალიზებულია მთელი საქართველოს მასშტაბით, საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების თაობაზე საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (დადგენილებები), რომლებიც სასამართლოებმა 2019 წლის 3 მაისიდან - 2023 წლის 20 იანვრამდე პერიოდში მიიღეს.

იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო სივრცეში ჩადენილ სექსუალური შევიწროების ფაქტებზე რეაგირება, უპირველესად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვალდებულებაა, განსაკუთრებით პრობლემურია შემთხვევები, როდესაც სექსუალური შევიწროების სავარაუდო ჩამდენები სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლები არიან. ამ მხრივ, 2024 წელს სახალხო დამცველის აპარატის წარმოებაში იყო საქმე, რომელშიც ადვოკატი ქალი მიუთითებდა, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის პროცესში, გამომძიებლის მხრიდან, სექსუალური ხასიათის, შეურაცხმყოფელი შეტყობინების ობიექტი გახდა. სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ დისციპლინური გადაცდომის ფაქტი ვერ გამოკვეთა.[45] თუმცა, განმცხადებლის მიერ სახალხო დამცველის აპარატში საქმეზე წარმოება გრძელდება. **სახალხო დამცველი იმედოვნებს, შინაგან საქმეთა სამინისტრო კიდევ უფრო ინტენსიურად უზრუნველყოფს სექსუალური შევიწროების საკითხებზე სამინისტროში დასაქმებული პირების გადამზადებას.**

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი შეისწავლის, აგრეთვე, საჯაროდ გავრცელებულ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან საპროტესტო აქციაზე დაკავებული ორი ქალის სავარაუდო სექსუალური შევიწროებისა და მათ მიმართ შეურაცხმყოფელი დამოკიდებულების გამოვლენის თაობაზე.[46]საგულისხმოა, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2024 წლის 13 დეკემბრის პასუხის თანახმად, მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის №199191124002 საქმეზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან, საპროტესტო აქციის მონაწილეების მიმართ განხორციელებული სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტებისა და ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 154 მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში მიმდინარეობს მათ შორის ნ. ძ.-ს მიმართ შესაძლო სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ფაქტის შესწავლა. საქართველოს სახალხო დამცველის წარმოებაში არსებულ ორ საქმეში[47], განმცხადებლები, ასევე, მიუთითებენ, გამოკითხვისას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან სექსისტური, შეურაცხმყოფელი და ღირსების შემლახავი დამოკიდებულების გამოვლენაზე, რაც, მათი შეფასებით, მათ შორის, სექსუალურ

---

[44] კვლევა განახორციელდა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4235kt1.

[45] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 5 აგვისტოს MIA 5 24 02380830 წერილი.

[46] იხ. https://bit.ly/3DMwrOZ; იხ. https://bit.ly/4a9RiYC.

[47] 2024 წლის 7 ოქტომბრის განცხადება N6328/2024; 2024 წლის 19 დეკემბრის განცხადება N8945/2024

შევიწროებასაც ისახავდა მიზნად. ორივე საქმეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია სწავლობს[48].

აპარატი თვალყურს მიადევნებს გენერალური ინსპექციის მიერ აღნიშნული ფაქტების მოკვლევის მიზნით განხორციელებულ რეაგირებას და შესაბამისი წარმოების შედეგების გათვალისწინებით, გასცემს რეკომენდაციებს, სამართალდამცავთა მხრიდან სექსუალური შევიწროების თავიდან აცილების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე.

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა

ქალთა თანასწორობის მიღწევის გზაზე უკან გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა საარჩევნო სიებში, ქალთა პოლიტიკური გაძლიერების მიზნით, არსებული დროებითი მექანიზმის - სავალდებულო კვოტირების გაუქმება. საკითხს სახალხო დამცველი საჯარო განცხადებით[49] გამოეხმაურა და ხაზი გაუსვა მსგავსი ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელების საჭიროებას იმ უხილავი ბარიერების აღმოსაფხვრელად, რომლებსაც ქალები ყოველდღიურად აწყდებიან. როგორც განცხადებაში აღინიშნა: „გენდერული კვოტირების მექანიზმი არა ქალების მიმართ მინიჭებული პრივილეგია, არამედ ქალთა მიმართ დისკრიმინაციული მიდგომის აღმოფხვრის, სტერეოტიპებთან ბრძოლისა და საერთაშორისოდ ნაკისრი ვალდებულების შესრულების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.“[50] ასევე, სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველზე,[51] ეუთო/ოდირმა სამართლებრივი დასკვნა მოამზადა გენდერული კვოტების გაუქმებასთან დაკავშირებულ ორგანულ კანონებზე, უარყოფითად შეაფასა ისინი და პოლიტიკურ და საჯარო ცხოვრებაში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრასთან დაკავშირებულ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამოდ მიიჩნია.[52]

სქესის ნიშნით დისკრიმინაციისა და გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობა კიდევ ერთხელ გამოკვეთა გენდერული კვოტირების გაუქმების საკითხის საკანონმდებლო განხილვამაც, რომლებიც ქალი დეპუტატების მისამართით უხამსი და შეურაცხმყოფელი რეპლიკების ფონზე მიმდინარეობდა.[53]

---

[48] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 15 იანვრის წერილი MIA 1 25 00094042; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 27 იანვრის წერილი MIA 8 25 00210661

[49] საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 2 აპრილის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3BXtKtx.

[50] იქვე.

[51] საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 23 აპრილის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4hdbMCr

[52] "Opinion on Two Organic Laws of Georgia Amending the Election Code and the Law on Political Unions of Citizens in Relation to Gender Quotas," Warsaw, 11 June 2024, Opinion-Nr.: ELE-GEND-GEO/501/2024 [ELD/NS]. იხილეთ ეუთო/ოდირის სამართლებრივი დასკვნა ინგლისურ ენაზე: https://bit.ly/4jBzPMY
შესაბამისი კანონპროექტები საქართველოს პარლამენტმა დაჩქარებულად, 4 დღეში განიხილა და ამა წლის 4 აპრილს საბოლოო, მესამე მოსმენით მიიღო, მოგვიანებით, 15 მაისს კი მათთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოყენებული ვეტოც დაძლია.

[53]იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 3 აპრილის საჯარო განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4j1NGw1.

სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ **„აუცილებელია ქალების ხმა მკაფიოდ ისმოდეს ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოსა და პოლიტიკის განმსაზღვრელ სხვა უწყებებში, რათა დღის წესრიგში იდგეს ქალთა საჭიროებები და გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი ღონისძიებები.“**[54]

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დასაცავად სახელმწიფოს მიერ, ბოლო წლების მანძილზე, გატარებული გარკვეული პოზიტიური ღონისძიებების მიუხედავად, მნიშვნელოვანი გამოწვევები კვლავაც არსებობს. საერთაშორისო ვალდებულებების აღიარებისა და ეროვნული კანონმდებლობის დახვეწის კვალდაკვალ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალური ინკლუზიისა და თანასწორობის უზრუნველყოფის მიმართულებით საკმარისი პროგრესი არ შეინიშნება.

პრობლემები ხელშესახებია შრომის უფლების რეალიზების მიმართულებით, გამოწვევას წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა და მათი ღია შრომის ბაზარზე დასაქმება[55]. შეფერხებით მიმდინარეობს ბიო-ფსიქოსოციალური მოდელის დანერგვაც და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პრობლემად რჩება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფიზიკურ გარემოზე, ინფორმაციაზე, კომუნიკაციის საშუალებებსა და სხვადასხვა სერვისზე წვდომა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების სრულფასოვანი რეალიზებისთვის, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ უზრუნველყოს ინკლუზიური პოლიტიკის ჩამოყალიბება, ინფრასტრუქტურისა და სერვისების მისაწვდომობა, დასაქმების წახალისება, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და სტიგმის შემცირება, რასაც ამ დრომდე სახელმწიფო ეფექტიანად ვერ უზრუნველყოფს. ამავდროულად, აუცილებელია, აღნიშნულ პროცესში წვლილი კერძო კომპანიებმაც შეიტანონ და ხელმისაწვდომი სამუშაო გარემო შექმნან. კოორდინირებული ძალისხმევის შედეგად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის შესაძლებელი გახდება უფლებების სრულფასოვნად რეალიზება და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

დასაქმების სფეროში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაცია

როგორც უკვე აღინიშნა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების წინაშე მდგარ ერთ-ერთ მთავარ პრობლემას დასაქმების სფეროში არსებული სირთულეები წარმოადგენს.

[54] საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 2 აპრილის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3BXtKtx.
[55] სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი, გვ. 255, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/4petws8x

სამუშაო ბაზარზე მათი მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი დაკავშირებულია როგორც ფიზიკური და ინფრასტრუქტურული, ისე სისტემური და სოციალურ-კულტურული ბარიერების არსებობასთან. დამსაქმებელთა მხრიდან ცნობიერების დაბალი დონე, საინფორმაციო კამპანიების ნაკლებობა, შესაბამისი გაიდლაინების, ინდივიდუალური ასისტენტისა და სამუშაო ადგილებზე თანამედროვე დამხმარე ტექნოლოგების სერვისის არარსებობა მნიშვნელოვნად ზღუდავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ეკონომიკურ დამოუკიდებლობასა და თვითრეალიზაციის შესაძლებლობას.

საანგარიშო წელს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა ერთ-ერთ საჯარო სკოლაში დასაქმებულმა, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე[56], მასწავლებელმა. იგი მიუთითებდა, რომ სკოლამ უგულებელყო მისი ინდივიდუალური საჭიროებები, განსაკუთრებით საგაკვეთილო ცხრილის შედგენის პროცესში, რამაც მის სამუშაო პირობებზე უარყოფითი გავლენა მოახდინა. აღნიშნულის გათვალისწინებით, იგი გონივრული მისადაგების პრინციპის დაცვას ითხოვდა, რაც მოიცავდა სამუშაო პირობების მის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან შესაბამისობას, მათ შორის, გაკვეთილების დროის ოპტიმიზაციას და დასვენებისთვის შესაფერისი ინტერვალების უზრუნველყოფას. საქმის შესწავლის შემდეგ, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ გარკვეული ღონისძიებების გატარების მიუხედავად, სკოლის ადმინისტრაციამ გონივრული მისადაგების პრინციპი სათანადოდ არ გამოიყენა, რის გამოც სკოლის დირექციას მოუწოდა, მომავალი სასწავლო წლის საგაკვეთილო ცხრილის შედგენისას, მხედველობაში მიეღო განმცხადებლის ინდივიდუალური საჭიროებები და სამუშაო პირობებთან გონივრული მისადაგება უზრუნველეყო.[57]

ფიზიკური გარემოსა და სერვისების მისაწვდომობა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ფიზიკურ გარემოზე, ინფორმაციაზე, კომუნიკაციასა და სხვადასხვა სერვისზე წვდომის კუთხით, სერიოზულ პრობლემებს კვლავაც აწყდებიან. საზოგადოებრივი შენობების, ტრანსპორტის და ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის მისაწვდომი მობილობის შეზღუდვის მქონე ადამიანებისთვის, რაც ამცირებს დამოუკიდებლად გადაადგილებისა და საზოგადოებრივ აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობებს. პრობლემები იკვეთება ჯანდაცვის, განათლებისა და საყოფაცხოვრებო სერვისების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სპეციფიკურ

[56] **შენიშვნა:** განმცხადებელს შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი მინიჭებული აქვს უვადოდ და გაცემულია რეკომენდაცია ხელსაყრელი სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შექმნის, შემოკლებული სამუშაო დღისა და პროფესიით არასრული დატვირთვით მუშაობის შესახებ

[57] სახალხო დამცველის 2024 წლის 27 მარტის მიმართვა N13-2/3065 საჯარო სკოლის დირექტორს

საჭიროებებზე მისადაგების მიმართულებითაც. აღნიშნული გამოწვეულია როგორც სერვისების ინკლუზიურობის ნაკლებობით, ისე შესაბამისი პერსონალის გადაუმზადებლობითა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების ცოდნის ნაკლებობით.

საგულისხმოა, რომ საანგარიშო წელს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ მხედველობაში მიიღო სახალხო დამცველის მიმართვა[58] და ქეთევან წამებულის გამზირზე განთავსებული შუქნიშნის ხმოვან-სიგნალიანი ქვეითთა ღილაკები 24 საათიან სამუშაო რეჟიმზე გადაიყვანა. ხმოვანი სიგნალი 00:00 საათამდე ჩვეულ რეჟიმში, ხოლო 00:00-დან 07:00-მდე (ვინაიდან ღამის საათებში საავტომობილო მოძრაობით გამოწვეული ხმაური იკლებს) შედარებით დაბალ, ქვეითისთვის გასაგონ, ხმაზე მუშაობს. განმცხადებელი დავობდა, რომ, მოსახლეობის პრეტენზიების გამო, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ შუქნიშნებისთვის 22:00-საათიდან ხმის დაწევის, ხოლო 23:30-საათიდან 07:00-საათამდე ხმის გათიშვის გადაწყვეტილება მიიღო, რამაც, ფაქტობრივად, ღამის საათებში, უსინათლო პირების დამოუკიდებლად გადაადგილების შესაძლებლობა გამორიცხა.

სახალხო დამცველის ჩართულობით, ასევე, დაიწყო შპს „საქართველოს ფოსტის“ ლაგოდეხის სერვისცენტრის შესასვლელში, ტექნიკურ მოთხოვნათა უგულებელყოფით[59] მოწყობილი პანდუსისთვის სარემონტო სამუშაოების ჩატარება, რაც ეტლით მოსარგებლე პირების მომსახურებაზე წვდომას უზრუნველყოფს.

მისაწვდომობისა პრობლემა გამოვლინდა ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრში განთავსებულ საპირფარეშოსთან მიმართებით. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სპეციალურად განკუთვნილი საპირფარეშო სათავსოდ გამოიყენებოდა და მუდმივად დაკეტილი იყო. აღნიშნული სახალხო დამცველმა თანასწორობის პრინციპებთან შეუსაბამოდ მიიჩნია, რის გამოც სავაჭრო ცენტრს საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტების განმარტებითი წერილით მიმართა და პრობლემის გამოსწორებისკენ მიმართული ღონისძიებების გატარებისკენ მოუწოდა[60]. წერილის საპასუხოდ, სავაჭრო ცენტრმა სახალხო დამცველს აცნობა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის განკუთვნილი საპირფარეშო აღარ დაიკეტება და მისი გამოყენება დაუბრკოლებლად იქნება შესაძლებელი.

სახალხო დამცველმა, სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, სპორტულ კომპლექსში განთავსებული აუზის მისაწვდომობის საკითხის შესწავლაც დაიწყო.

---

[58] სახალხო დამცველის 2023 წლის 20 დეკემბრის მიმართვა N13-2/12252 ქალაქ თბილისის მერს

[59] **შენიშვნა:** განმცხადებელმა ვერ შეძლო შპს „საქართველოს ფოსტის“ ლაგოდეხის სერვისცენტრით სარგებლობა, რამდენადაც შენობის შესასვლელში პანდუსი ტექნიკურ მოთხოვნებთან შეუსაბამოდ იყო მოწყობილი და მასზე ეტლით ასვლა როგორც დამოუკიდებლად, ისე სხვა პირის დახმარებით, ვერ მოახერხა. იგი იძულებული გახდა, სერვისცენტრის მენეჯერისთვის მომსახურების ქუჩაში გაწევა ეთხოვა, რაზეც მან უარი განაცხადა და ამანათის სხვა პირის დახმარებით გაგზავნა შესთავაზა

[60] სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 6 აგვისტოს წერილი №2024/3531

მშობელი მიუთითებდა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს უარი ეთქვა კომპლექსში განთავსებულ აუზზე დაშვებაზე იმ საფუძვლით, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სხვა აუზი იყო განსაზღვრული, რომელიც სარემონტო სამუშაოების გამო დახურულია. სახალხო დამცველის აპარატი დაუკავშირდა მშობელს, რომელმაც დაადასტურა სპორტულ კომპლექსში შეცვლილი გარემო, რომელშიც, არსებული მოცემულობით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სხვა ბავშვებთან ანალოგიურ პირობებში ეძლევათ საცურაო აუზით სარგებლობის შესაძლებლობა. შესაბამისად, დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრის საფუძველზე, აპარატში საქმეზე წარმოება დასრულდა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის კვლავ გამოწვევად რჩება სამედიცინო სერვისების მისაწვდომობაც. საანგარიშო წელს ორი შემთხვევა გამოიკვეთა, როდესაც ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემისა[61] და აუტისტური სპექტრის მქონე პირებმა სამედიცინო სერვისებით ვერ ისარგებლეს, ვინაიდან სამედიცინო დაწესებულებები მათ საჭიროებაზე მორგებულ მომსახურებას ვერ სთავაზობდნენ. პრობლემად დასახელდა სამედიცინო პერსონალის სტერეოტიპული დამოკიდებულებაც. სახალხო დამცველი წლებია ყურადღებას ამახვილებს სამედიცინო სერვისების, მათ შორის, სამედიცინო ინფრასტრუქტურის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის (ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირების ჩათვლით) მისაწვდომობის კუთხით არსებულ ბარიერებსა და გამოწვევებზე. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის უფლების რეალიზებისთვის დამატებითი ზომების მიღების აუცილებლობაზე მიუთითა სახალხო დამცველმა თავის საპარლამენტო ანგარიშშიც[62] და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს რეკომენდაციით მიმართა - გამოიკვლიოს სამედიცინო დაწესებულებებისა და სერვისების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მისაწვდომობის საჭიროებები. ასევე, გადადგას ქმედითი ნაბიჯები ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა მიმართ სტიგმის დასაძლევად და სამედიცინო პერსონალში ცნობიერების ასამაღლებლად.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ინფრასტრუქტურაზე, სერვისებსა და სამედიცინო მომსახურებაზე მისაწვდომობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია, უფლებების სრულყოფილად რეალიზებისა და საზოგადოებაში სრულფასოვანი მონაწილეობისთვის. აღნიშნული ხელს შეუწყობს მათ სოციალურ ინკლუზიას, ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. აუცილებელია ფიზიკური გარემოს მისაწვდომობაზე განგრძობადად მუშაობა, სპეციალური სერვისების განვითარება,

[61] **შენიშვნა:** საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველის აპარატის ძალისხმევის შედეგად, საბოლოოდ, აღნიშნულმა პირმა მოახერხა მისთვის საჭირო სამედიცინო მომსახურების მიღება

[62] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2023, გვ 262-263, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/4petws8x

სამედიცინო მომსახურების ინკლუზიურობის უზრუნველყოფა, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელება, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობები და საზოგადოების აქტიური ნაწილი გახდნენ.

ლგბტქი+ თემის წევრების თანასწორუფლებიანობა

ქვეყანაში დისკრიმინაციასთან ბრძოლის და თანასწორობის დაცვის პოლიტიკა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

საანგარიშო წელს განსაკუთრებით აღსანიშნავია „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი,[63] 18 ნორმატიულ აქტში განხორციელებულ თანხმლებ ცვლილებებთან ერთად.

აღნიშნული საკანონმდებლო პაკეტის ინიცირების შემდეგ, საქართველოს სახალხო დამცველმა ჩაატარა შეხვედრები საქართველოს პარლამენტში, რათა კანონპროექტზე საკუთარი პოზიცია გამოეხატა. განხილული საკითხები მოიცავდა მათ შორის, გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების შესაძლო შეზღუდვას, აკადემიურ თავისუფლებაზე გავლენას და სახალხო დამცველის მანდატისა და უფლებამოსილების განხორციელების საკითხებს.

კანონპროექტში შესწორებები განხორციელდა, რაც გულისხმობდა „პოპულარიზაციის" განსაზღვრების დამატებას და კანონის მე-11 მუხლის დაზუსტებას, რაც ქმნიდა სახალხო დამცველის მანდატის განხორციელების პოტენციურ საფრთხეს. ასევე, კანონის მოქმედება არ გავრცელდა იმ შემთხვევებზე, სადაც სამოქალაქო რეესტრში პირის სქესი, რომელიც განსხვავდებოდა მისი ბიოლოგიური სქესისგან, უკვე იყო მითითებული.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ კანონში მოცემული „პოპულარიზაციის" ცნების განმარტება ვერ აკმაყოფილებს საქართველოს კონსტიტუციითა და ევროპული კონვენციით დადგენილ განჭვრეტადობის მოთხოვნას და თვითნებობის მაღალ რისკს ქმნის.

2024 წლის ნოემბერში, საქართველოს სახალხო დამცველმა გამართა შეხვედრა ლგბტ+ თემის ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რათა განეხილა კანონპროექტის პოტენციური საფრთხეები ლგბტ+ თემის წევრთა უფლებებზე. შეხვედრაზე ლგბტ+ უფლებების დაცვის საკითხზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს კანონის ბუნდოვანებაზე შეკრებისა და გამოხატვის კონსტიტუციური უფლების რეალიზების თვალსაზრისით.

2024 წელს საქართველოში ლგბტქი+ თემმა შეკრებისა და მანიფესტაციის კონსტიტუციური უფლებით არ უსარგებლია.[64] შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების კონტექსტში

[63] საქართველოს კანონი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ", 17/09/2024: https://bit.ly/3ZVKedk

[64] თბილისი პრაიდის განცხადება: https://bit.ly/3BOeMG1 .

აღსანიშნავია შეკრების თავისუფლების შესახებ კანონის „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ მე-10 მუხლი, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, კრძალავს შეკრებებს, რომლებიც მიზნად ისახავს ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის პოპულარიზაციას. მართალია, საკანონმდებლო მოწესრიგება პოპულარიზაციად[65] მიიჩნევს მხოლოდ ისეთ ინფორმაციასა და ქმედებას, რომელიც კონკრეტულ საკითხებს *დადებითად ან/და მისაბაძად წარმოაჩენს*, თუმცა გაურკვეველი რჩება აკრძალვის ზუსტი მოცულობა, რაც შემკავებელი ეფექტის მქონეა გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის თვალსაზრისით. იმ შემთხვევაშიც კი, თუ, სამომავლოდ, კანონმდებლობა დააზუსტებს, რომ აკრძალვა არ ეხება ნეიტრალური კონტექსტის მქონე გამოხატვებს, პრაქტიკაში შეუძლებელი იქნება ამგვარი ნეიტრალიტეტის მოთხოვნის დაცვა, როდესაც საქმე ეხება მოსაზრებების გამოხატვას ან თუნდაც ფაქტების კონსტანტაციას, რადგან თავისთავად ნეგატიური კონოტაციის არარსებობა, შესაძლოა, დადებითი დამოკიდებულების გამომხატველად იქნეს აღქმული.[66]

განსაკუთრებით აღსანიშნავია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევისთვის, მით უმეტეს, როდესაც სანქციის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 2 წლამდე ვადით. ასევე კანონმდებელმა დანაშაულად გამოაცხადა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის[67] გამო სახდელის დადების შემდეგ, ისეთი ქმედებების განმეორებით ჩადენა, როგორიცაა: რეკლამის გავრცელება, (უმაღლეს) საგანმანათლებლო პროგრამაში ინფორმაციის შეტანა ან/და თანამშრომლის მიერ ინფორმაციის გავრცელება ან გავრცელების ხელშეწყობა, რომელიც მიმართულია ადამიანის არცერთი ბიოლოგიური სქესისთვის მიკუთვნების ან/და მისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ.

ამდენად, კანონით კრიმინალიზებულია სრულწლოვანი პირებისთვის ინფორმაციის მიწოდება და გავრცელება, თუ ეს ზემოაღნიშნული ქმედებების პოპულარიზაციისკენ მიმართულად ჩაითვლება.

როგორც აღინიშნა, კანონი შეიცავს ტერმინის - „პოპულარიზაციის“ განმარტებას და აღწერს მას, როგორც დადებითად ან მისაბაძად წარმოჩენას. მიუხედავად ამისა, ხსენებული ნორმები ვერ აკმაყოფილებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებელი კანონისთვის კონსტიტუციითა და კონვენციით დადგენილ - განჭვრეტადობის მოთხოვნას და ქმნის თვითნებობის მაღალ რისკს. ნორმის ბუნდოვანების და განუსაზღვრელობის გამო, დანაშაულებრივი ქმედების ობიექტური შემადგენლობა შეიძლება გავრცელდეს აკადემიური, სახელოვნებო, სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებაზე, წიგნების გამომცემლობის და სხვა

[65] საქართველოს კანონი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“, მუხლი 3.
[66] *იქვე,* პარ. 75.
[67] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172^{10} მუხლი.

კანონით დაშვებულ საქმიანობაზე. დაუშვებელია, ნორმის შემფარდებლის განმარტებაზე იყოს დამოკიდებული კონკრეტული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების (შეკრება, გამოხატვა, შემოქმედების თავისუფლება, აკადემიური თავისუფლება, პირადი ცხოვრება და თავისუფალი განვითარების უფლება) რეალიზებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობის დაკისრების შესაძლებლობა.

მნიშვნელოვანია ხაზგასმა კანონის გავლენაზე სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების მიმართ. კანონის მე-6 მუხლის მიხედვით, იკრძალება ადამიანის მისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების მიზნით მისთვის ქირურგიული ოპერაციის ჩატარება ან მის მიმართ სხვა სახის სამედიცინო მანიპულაციის გამოყენება. აღნიშნული შეზღუდვა არ შემოიფარგლება მხოლოდ ქირურგიული ოპერაციებით და ვრცელდება ყველა სახის სამედიცინო ჩარევაზე, რაც სერიოზულ გამოწვევებს უქმნის სქესის შეცვლის პროცესში მყოფ პირებს, ვინაიდან მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა, რაც საფრთხის წინაშე დადგება, თუ სამედიცინო პერსონალი უარს იტყვის აუცილებელი სამედიცინო მომსახურების გაწევაზე კანონთან შეუსაბამობის მოტივით. ჯანმრთელობის უფლება კი გულისხმობს აუცილებელი სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობას დისკრიმინაციის გარეშე.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლის 24 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველმა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს წარუდგინა კომუნიკაცია იდენტობის ჯგუფის საქმეებზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მიმდინარეობის შესახებ. სახალხო დამცველის კომუნიკაცია პასუხობს იდენტობის ჯგუფის საქმეების აღსრულების შესახებ მინისტრთა კომიტეტის ბოლო გადაწყვეტილებას, საქართველოს ხელისუფლების მიერ წარდგენილ სამოქმედო გეგმებს და აფასებს გადაწყვეტილებების აღსრულებისათვის მიღებულ ზოგად ღონისძიებებს. ნიშანდობლივია, რომ კომუნიკაციაში განხილულია შემდეგი საკითხები: „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან დაკავშირებული რისკები, შეკრების თავისუფლებით სარგებლობის პრობლემატიკა, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების მიმდინარეობა და მონაცემთა წარმოება.[68]

მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ გატარდეს პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ლგბტი+ ადამიანებისთვის თანასწორი, უსაფრთხო გარემოს შექმნას და მათ სრულფასოვან სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობას.

დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში

[68] "Communication of the Public Defender of Georgia concerning Identoba group cases, made under Rule 9(2) of the Rules of the Committee of Ministers for the Supervision of the Execution of Judgments and of the terms of Friendly Settlements," 24 February 2025.

შრომით ურთიერთობებში სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევები კვლავაც იმ დავების კატეგორიას მიეკუთვნება, რომელთა შესახებაც მოქალაქეები ყველაზე ხშირად მიმართავენ სახალხო დამცველის აპარატს. განმცხადებლები მიუთითებენ ქმედებებზე, როგორიცაა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, სამსახურებრივი ფუნქციებიდან ჩამოშორება, ვიქტიმიზაცია, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა და სხვა. წინა წლების პრაქტიკის შესაბამისად, დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშნებად განმცხადებლები ძირითადად ასახელებენ განსხვავებული მოსაზრებების გამოხატვასა და პროფკავშირულ საქმიანობას. ამასთან, გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც განმცხადებლები შრომითი უფლებების შეზღუდვას უკავშირებდნენ სახალხო დამცველის აპარატისთვის კონკრეტული ინფორმაციის მიწოდებას.

2024 წელს მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო სხვადასხვა სექტორში დასაქმებულთა საპროტესტო გამოსვლებსა და გაფიცვებს. სახალხო დამცველმა დამსაქმებლებს მოუწოდა, შრომითი ურთიერთობის ფარგლებში წარმოშობილ უთანხმოებებსა და უკმაყოფილების გამოხატვის შემთხვევებში აქტიურად ეწარმოებინათ კომუნიკაცია დასაქმებულებთან, გამოეყენებინათ ყველა ხელმისაწვდომი მექანიზმი კონსენსუსის მისაღწევად და თავიდან აეცილებინათ ისეთი ქმედებები, რომლებიც შელახავს დასაქმებულთა ღირსებას ან წარმოადგენს დისკრიმინაციული მოპყრობის მაგალითს. განსაკუთრებით ხაზგასმით იქნა აღნიშნული, რომ დამსაქმებლებმა თავი უნდა შეიკავონ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის მსგავსი რადიკალური ღონისძიებების გამოყენებისგან. ამასთან, სახალხო დამცველმა მოუწოდა შპს „ევოლუშენ ჯორჯიას“, შრომის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, დაუყოვნებლივ დაეწყო გაფიცულ დასაქმებულებთან თანამშრომლობა და უზრუნველეყო შემათანხმებელი პროცედურების დროული და ეფექტიანად წარმართვა, რათა დროულად მოხდეს დასაქმებულთა შრომის ღირსეული პირობებით უზრუნველყოფა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაზღვევის სერვისებზე წვდომის აღდგენა.[69]

ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ 2024 წლის 1 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა დისკრიმინაციის თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე ზოგადი წინადადებით მიმართა შპს „ევოლუშენ ჯორჯიას“.[70]

როგორც საზოგადოებისთვის არის ცნობილი, კომპანიის ერთ-ერთმა თანამშრომელმა „მაუწყებელს“ ანონიმურად მიაწოდა მენეჯერების მიმოწერები, რომელიც ფიზიკური ძალადობისკენ მოწოდებას, დამამცირებელ, რასისტულ, სექსისტურ და გარეგნობის გამო დასაქმებულებისადმი დამცინავ დამოკიდებულებებს შეიცავდა. „ევოლუშენ ჯორჯიაში“ სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციის წამახალისებელი გარემოს შესაფასებლად სახალხო

[69] სახალხო დამცველი ევოლუშენ ჯორჯიას გაფიცულ თანამშრომლებს შეხვდა, 22.08.2024. განცხადება ხელმისაწვდომია: https://bit.ly/41KuNYe; სახალხო დამცველი შპს „ევოლუშენ ჯორჯიას“ თანამშრომელთა გაფიცვას ეხმიანება, 25.07.2024. განცხადება ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/xSquf; სახალხო დამცველის განცხადება შპს „ევოლუშენ ჯორჯიას“ თანამშრომლების შრომის პირობებთან დაკავშირებით, 10.07.2024. განცხადება ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/y4v3y

[70] ზოგადი წინადადება დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე № 2024/5994, 01.11.2024. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/8LcXd

დამცველის აპარატმა საქმისწარმოება საკუთარი ინიციატივით დაიწყო, 2024 წლის 8 ივლისს საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე. ამასთან, აღნიშნული საკითხის შესწავლის თხოვნით, მეორე დღესვე, 2024 წლის 9 ივლისს, აპარატს ასევე პროფკავშირმა „ლაბორმაც“ მიმართა.

შპს „ევოლუშენ ჯორჯიადან“ და სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურიდან გამოთხოვილი და მიღებული მასალების ანალიზის საფუძველზე, სახალხო დამცველმა შეაფასა შესაძლო დისკრიმინაციული პრაქტიკების პოტენციური გავლენა კომპანიაში დასაქმებულ პირთა შრომითი პირობების ხარისხსა და დისკრიმინაციის წახალისების ფაქტორებზე. სახალხო დამცველმა განმარტა, რომ დისკრიმინაციასთან ეფექტიანად ბრძოლის თვალსაზრისით, ცალკეულ შემთხვევებში, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის პარალელურად, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ისეთი შემთხვევების გამოვლენას და პრევენციას, რომლებიც ხელს უწყობს და ახდენს დისკრიმინაციის წახალისებას.

მისასალმებელია, რომ **კომპანიამ საჯაროდ გავრცელებულ მიმოწერაში მონაწილე, დისკრიმინაციის წამახალისებელ ქმედებებზე პასუხისმგებელ ყველა აქტიურ თანამშრომელთან დაასრულა სამართლებრივი ურთიერთობა.** თუმცა, სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ ამ ფაქტების შინაარსი, განსაკუთრებით მენეჯერულ პოზიციებზე მყოფი პირების მხრიდან განხორციელებული დისკრიმინაციის წამახალისებელი ქმედებები მიუთითებს, რომ კომპანიაში დისკრიმინაციული გარემოს მიმართულებით რიგი პრობლემებია და დასაქმებულთა დისკრიმინაციისაგან დასაცავად გატარებული ღონისძიებები არასაკმარისია. კომპანიაში დისკრიმინაციისგან თავისუფალი გარემოს შექმნისა და თანასწორობის პრინციპების დაცვის განმტკიცების უზრუნველსაყოფად სახალხო დამცველმა შპს „ევოლუშენ ჯორჯიას“ მოუწოდა, შრომითი ხელშეკრულების დადებამდე კანდიდატს გააცნოს ინფორმაცია არა მხოლოდ პირთა თანასწორი მოპყრობის პრინციპის შესახებ მოქმედი საკანონმდებლო დებულებების, არამედ თანასწორობის პრინციპის დარღვევის შემთხვევაში, უფლების დაცვის ხელმისაწვდომი საშუალებებისა და სამართლებრივი შედეგების შესახებ. სისტემატურად გადაამზადოს თანამშრომლები თანასწორობის პრინციპისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. შიდა ორგანიზაციული აქტები და პოლიტიკა დროულად და ეფექტიანად მოიყვანოს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონთან შესაბამისობაში.

დამატებით, ყურადსაღებია, რომ საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა 2024 წელსაც იმსჯელა პლატფორმაზე დასაქმებული პირების დისკრიმინაციის შემთხვევებზე.

კერძოდ, 2024 წლის 30 იანვარს სახალხო დამცველმა პლატფორმა „ვოლტ ჯორჯიას“ შრომით ურთიერთობაში განსხვავებული მოსაზრების გამო განხორციელებული დისკრიმინაციის აღმოფხვრის რეკომენდაციით მიმართა. საქმეში არსებული მასალების მიხედვით, შრომის პირობებთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ საჯაროდ საუბრისა და სხვა საპროტესტო აქტივობების გამო, კომპანიამ კურიერს აპლიკაციაზე წვდომა დაუბლოკა, თუმცა, საფუძვლად 2 კვირის განმავლობაში შრომითი მოვალეობების შეუსრულებლობა მიუთითა.

საერთაშორისო ინსტიტუტებისა და სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოების მიერ შემუშავებულ უახლეს სტანდარტებზე დაყრდნობით, სახალხო დამცველმა, უკვე დადგენილი პრაქტიკის მსგავსად, მიიჩნია, რომ პლატფორმის მეშვეობით მომუშავე კურიერები, მიუხედავად „პარტნიორის“ სტატუსისა, კომპანიასთან შრომით ურთიერთობაში მყოფი პირები არიან და, შესაბამისად, მათ შრომის კანონმდებლობიდან გამომდინარე გარანტიებით სარგებლობის უფლება აქვთ. ამასთან, სახალხო დამცველმა პრობლემურად მიიჩნია კომპანიის ხელშეკრულებაში განსაზღვრული პირობა, რომლის მიხედვითაც, დასაქმებულს შეუძლია ხელშეკრულების შეწყვეტა, თუ კურიერის მიერ შრომითი მოვალეობები 2 კვირის განმავლობაში არ სრულდება. შესაბამისად, ხელშეკრულება დამსაქმებელს უფლებას აძლევს შრომითი ურთიერთობა შეუწყვიტოს ყველა იმ პირს, ვინც სამუშაო პირობების გაუმჯობესებისათვის პროტესტის გამო, უარს აცხადებს აპლიკაციის გამოყენებაზე.

სახალხო დამცველის შეფასებით, ხელშეკრულების ამ ჩანაწერმა შესაძლოა, დისკრიმინაციული ზეგავლენა მოახდინოს კურიერებზე. ამასთან აღსანიშნავია, რომ კომპანიის მიერ გაცხადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი წინააღმდეგობაში მოდის თავად „ვოლტის“ პოზიციასთან, რომ კურიერების გრაფიკი თავისუფალია და მათ სურვილის მიხედვით შეუძლიათ განსაზღვრონ თავისი სამუშაო დრო. სახალხო დამცველმა „ვოლტ ჯორჯიას“ მიმართა - დაუყოვნებლივ აღედგინა კურიერისთვის აპლიკაციაზე წვდომა; მომავალში კი არ დაუშვას შრომით ურთიერთობაში განსხვავებული მოსაზრების ან/და სხვა ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობა და უზრუნველყოს თანასწორობის პოლიტიკის გატარება კომპანიაში.[71]

ასევე, 2024 წლის 09 თებერვალს, განსხვავებული მოსაზრების ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის შესახებ მიმართა სახალხო დამცველმა შპს „შირნჰოფერს“. განმცხადებლის თანახმად, კომპანიის ხელმძღვანელი პირების მითითებით, ფილიალებში ვადაგასული პროდუქცია იყიდებოდა. განმცხადებლის განმარტებით, როდესაც მან ამის შესახებ უკმაყოფილება გამოხატა, ხელმძღვანელმა პირებმა განუცხადეს, რომ თუ არსებული პირობებით მუშაობა არ მოსწონდა, სამსახურიდან წასულიყო. ამასთან, დამსაქმებელმა განმცხადებელს სამუშაო ადგილი შეუცვალა, ჩამოართვა სამუშაოს შესასრულებლად საჭირო ტექნიკა, ხოლო კორპორაციული ტელეფონის ნომერი გაფრთხილების გარეშე გაუთიშა. საბოლოოდ, განმცხადებელი სამსახურიდან გაათავისუფლეს. სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა შპს „შირნჰოფერს“, განეხილა განმცხადებელთან შრომითი ურთიერთობის აღდგენის შესაძლებლობა და შეექმნა სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტები და ქმედითი ანტი-დისკრიმინაციული მექანიზმი.[72]

[71] სახალხო დამცველის რეკომენდაცია შპს „ვოლტ ჯორჯიას“ მიმართ შრომით ურთიერთობაში განსხვავებული მოსაზრების ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ, 30.01.2024. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3BMpCfK

[72] სახალხო დამცველის რეკომენდაცია შპს „შირნჰოფერს“ შრომით ურთიერთობაში განსხვავებული მოსაზრების ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ, 09.02.2024. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3DurWs9

მისასალმებელია, რომ კომპანიამ, რეკომენდაციის შესაბამისად, შექმნა დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტი და დაიწყო პირთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპების გათვალისწინება დასაქმებულთა ხელშეკრულებებში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სახალხო დამცველმა განსხვავებული მოსაზრების ნიშნით დისკრიმინაცია დაადგინა ეროვნული მუზეუმის ყოფილი თანამშრომლის საქმეშიც და დისკრიმინაციის აღმოფხვრის რეკომენდაციით მიმართა კულტურის მინისტრს, სსიპ საქართველოს ეროვნულ მუზეუმს და სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს. ნიშანდობლივია, რომ განმცხადებელმა არაერთხელ გააკრიტიკა კულტურის მინისტრი და ეროვნული მუზეუმის ახალი ადმინისტრაციის გადაწყვეტილებები.

სახალხო დამცველმა მოუწოდა სსიპ საქართველოს ეროვნულ მუზეუმს, უზრუნველეყო სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსებში გამარჯვებულ პირთა ეროვნული მუზეუმის სამუშაო ოთახებში დაშვება და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობა; ასევე, სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს მიმართა, კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით, გაეცა განმცხადებელზე ოროზმანის არქეოლოგიურ ობიექტზე მის მიერ მოთხოვნილი არქეოლოგიური სამუშაოების სანებართვო მოწმობა, ხოლო საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრს მიმართა, როგორც ზედამხედველმა უწყებამ, მონიტორინგი გაუწიოს მისი მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიმართ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების პროცესს და უზრუნველყოს შიდა ორგანიზაციული აქტებისა და პოლიტიკის „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონთან შესაბამისობა, ხოლო ასეთი პოლიტიკის დოკუმენტების არარსებობის შემთხვევაში, უზრუნველყოს მათი დროული შემუშავება.[73] სამინისტროს განმარტებით, განმცხადებელი ეროვნულ მუზეუმში დაიშვება და ასევე, სამინისტროში მიმდინარეობს შიდაორგანიზაციული აქტებისა და პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიება

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების მიმართულებით, გასული წლის მსგავსად, კვლავ იკვეთება პრობლემები სავარაუდო შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების პროცესში. აღნიშნულის საფუძველს, ერთი მხრივ, წარმოადგენს სამართალდამცავი ორგანოების მიერ მოწყვლადი ჯგუფების თანასწორუფლებიანობის დაცვის პოზიტიური ვალდებულებების

[73] სახალხო დამცველის 2024 წლის 01 აპრილის რეკომენდაცია განსხვავებული მოსაზრების ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის თაობაზე. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4fzbg07

არასათანადო შესრულება და, მეორე მხრივ, პრობლემურია სამართალდამცავთა მხრიდან შეურაცხმყოფელი და ჰომოფობიური ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევებიც.

2024 წლის 21 მარტს, სახალხო დამცველის აპარატს მომართა „იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული კრება საქართველოში“ ადმინისტრაციის თავმჯდომარემ, 2023 წელს იეჰოვას მოწმეებზე განხორციელებულ თავდასხმებთან დაკავშირებით.[74] განცხადების თანახმად, თავდასხმის ფაქტებზე სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მხრიდან ეფექტიანი რეაგირება არ ხდება, მათ შორის, რამდენიმე შემთხვევაზე სამსახურმა გამოძიება არც კი დაიწყო ქვემდებარეობის საფუძვლით და საქმეთა მასალები გადაეგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს. განმცხადებელი ასევე მიუთითებს სისხლის სამართლის საქმეებზე კვალიფიკაციის პრობლემაზე. კერძოდ, ორ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო რელიგიური წესის აღსრულებისთვის უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 155-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, ხოლო ერთ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო იეჰოვას მოწმის ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტზე, დანაშაული საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რომელზეც მოგვიანებით შეიცვალა კვალიფიკაცია და საქმე დაკვალიფიცირდა სსკ-ის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, დევნა აღმსარებლობის გამო, ჩადენილი ძალადობით და ძალადობის მუქარით. იმავე დღეს სისხლის სამართლის საქმე ქვემდებარეობით გადაიგზავნა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში.

კიდევ ერთ სისხლის სამართლის საქმეზე, ძალადობის ფაქტზე, გამოძიება დაიწყო, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე 1^1 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. ამ საქმეზე პროკურორის 2023 წლის 06 დეკემბრის დადგენლებით, შეიცვალა კვალიფიკაცია და გამოძიება გაგრძელდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტით, ძალადობით ან/და ძალადობის მუქარით ჩადენილი დევნის ფაქტზე, ხოლო საქმე, 2023 წლის 11 დეკემბერს, გამოსაძიებლად გადაეცა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს. ამას გარდა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით მიმდინარეობს გამოძიება, 2023 წლის 7 სექტემბერს, ქ. თბილისში, ზღვისუბანში მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით; ამავე საქმის ფარგლებში, მიმდინარეობს გამოძიება 2023 წლის 10 სექტემბერს, ქ. თბილისში, ი. ვეკუას ქუჩაზე მომხდარ ეპიზოდთან დაკავშირებით. ასევე, დევნის ფაქტზე, ზემოაღნიშნული მუხლის საფუძველზე მიმდინარეობს გამოძიება 2023 წლის 20 ოქტომბერს, ქ. ქობულეთში, მერიის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით.

სახალხო დამცველის აპარატი, ასევე, სწავლობს, 2024 წლის 08 მარტს, ადიგენის მუნიციპალიტეტში, მართლმადიდებელი სასულიერო პირების მხრიდან ადგილობრივი მუსლიმებისთვის რელიგიური მსახურების განხორციელებაში ხელშეშლის საკითხს.[75] 2024 წლის 19 მარტს სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაცია გამოითხოვა სპეციალური

[74] განცხადება N3533/24.
[75] განცხადება N3114/23.

საგამოძიებო სამსახურიდან.[76] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2024 წლის 28 მარტის კორესპონდენციით,[77] სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ 2024 წლის 13 მარტს, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს აღიშნულ საკითხთან დაკავშირებით სოციალური ა(ა)იპ სამართლიანობის ცენტრმა მიმართა, რომელიც, შემდგომი რეაგირების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტს გადაეგზავნა. 2024 წლის 18 აპრილს, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის აპარატმა შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციას მიმართა.[78] ადმინისტრაციის 2024 წლის 22 აპრილის კორესპონდენციით,[79] სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ საჭირო იყო ინფორმაციის/დოკუმენტაციის სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში მოძიება, რის გამოც მოთხოვნილი ინფორმაცია მოგვეწოდებოდა მოძიებისთანავე. **სამწუხაროდ, მოთხოვნილი ინფორმაციის მოწოდება ამ დრომდე არ მომხდარა.**

2024 წლის 07 ივნისს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებები. განცხადებებში მითითებულია, რომ 2024 წლის 1 ივნისს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ცენტრალურ ოფისზე განხორციელდა ჯგუფური თავდასხმა, რის შედეგადაც დაზიანდა პარტიის საკუთრებაში არსებული შენობის პირველი სართულის შემინული ფასადი.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ თავდასხმა პოლიტიკური მოტივით იყო განპირობებული და მიზნად ისახავდა ოპოზიციური პარტიის წევრებისა და მხარდამჭერების დაშინებას. განცხადების თანახმად, თავდამსხმელები იყვნენ შეიარაღებული ხისა და რკინის ბლაგვი ნივთებითა და ქვებით. განცხადებაში, აგრეთვე, აღნიშნულია, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის გაგზავნილი მიმართვა, რომელიც შეეხება პოლიციის თანამშრომლის სავარაუდო მონაწილეობის ფაქტს, შინაგან საქმეთა სამინისტროში გადაიგზავნა. პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისის ჯგუფურად დაზიანების ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ფაქტზე. ასევე, განცხადებაში ხაზგასმულია, რომ მათთვის უცნობია, რატომ არ მოხდა სისხლის სამართლის საქმის სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის დაქვემდებარება.

შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილი №45ა-ში მდებარე პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისის ჯგუფურად დაზიანების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით. სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებულია არაერთი საპროცესო და საგამოძიებო მოქმედება, დანიშნულია შესაბამისი

[76] წერილი N13-1/2740.
[77] SIS 2 24 00005561.
[78] წერილი №2024/433.
[79] წერილი MIA 5 24 01210398.

ექპერტიზები და გამოკითხული არიან საქმესთან შემხებლობაში მყოფი პირები. სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.[80]

2024 წლის 7 მაისს, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად,[81] „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) აღმასრულებელ დირექტორ გიორგი კლდიაშვილსა და ტელეკომპანია „ფორმულას“ გადამღებ ჯგუფს თავს დაესხნენ. სპეციალური საგამოძიებო სამსახურიდანგამოთხოვილი ინფორმაციის[82] თანახმად, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, გიორგი კლდიაშვილის მიმართ განხორციელებული ძალადობისა და ტელეკომპანია „ფორმულას“ ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე, გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით და 154-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. ასევე, ხსენებულ სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარდა რიგი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები; სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად იქნა ცნობილი გიორგი კლდიაშვილი; **ხოლო საქმეზე გამოძიება გრძელდება.**[83]

სახალხო დამცველის აპარატში, ასევე, წარმოდგენილია განცხადება არასამთავრობო ორგანიზაცია „საფარის“ აღმასრულებელი დირექტორის, ბაბუცა პატარაიას საქმეზე.[84] განცხადების თანახმად, სხვადასხვა პირის მხრიდან ადგილი აქვს „საფარის“ აღმასრულებელი დირექტორის დევნას, რომელიც უკავშირდება მის პროფესიულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. კერძოდ, სხვადასხვა პირის მიერ ბაბუცა პატარაიას სამუშაო და საცხოვრებელ ტერიტორიაზე ინტენსიურად ხდება შეურაცხმყოფელი წარწერების განთავსება. ასევე, პირად ტელეფონზე და სხვადასხვა აპლიკაციების საშუალებით ხდება არასასურველი კომუნიკაცია. კომუნიკაციის ინტენსიურობის გამო ბაბუცა პატარაია იძულებული გახდა, რომ პირადი ტელეფონიდან წაეშალა აპლიკაცია „ვაიბერი“. გარდა ამისა, ბაბუცა პატარაიას ოჯახის წევრების ტელეფონებზე უცხო პირთა მხრიდან ინტენსიურად ხდება არასასურველი შეურაცხმყოფელი შინაარსის კომუნიკაცია. ამავე განცხადების თანახმად, 2024 წლის 9 მაისს არასამთავრობო ორგანიზაცია „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის“ ეზოს შესასვლელ კარებზე სამი პირის მიერ განთავსებულ იქნა ე.წ. „პოსტერები“ ბაბუცა პატარაიასა და ორი არასამთავრობო ორგანიზაციის დირექტორის ფოტოსურათებით, რომლებსაც თან ერთვოდა შეურაცხმყოფელი წარწერები, რაც მიზნად ისახავდა პროფესიულ დევნას. 11 მაისს ბაბუცა პატარაიას საცხოვრებელი სახლის სადარბაზოს კედლებზე განთავსებულ იქნა უხამსი წარწერები, 31 მაისს - „საფარის“ ოფისის ეზოს შიდა და გარე პერიმეტრზე, 1 ივნისს კი ოფისის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ასევე, განცხადების თანახმად, 2024 წლის 1 ივნისს პარლამენტის წევრმა დიმიტრი სამხარაძემ გამოაქვეყნა „ფეისბუქ“ პოსტი, სადაც მიუთითებდა კონკრეტული მტრულად განწყობილი არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, მათ შორის ნახსენები იყო „საფარი“. **ბაბუცა პატარაიას წარმომადგენელმა ზემოაღნიშნული ინფორმაციით მიმართა სპეციალურ**

[80] წერილი MIA 3 24 01811524, 18/06/2024.
[81] ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/mtOwT
[82] წერილი № 2024/1045, 13.05.2024.
[83] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წერილი SIS 9 24 0000986, 23.05.2024.
[84] განცხადება N2841/2024, 26.06.2024; N3036/2024, 02.07.2024.

საგამოძიებო სამსახურს, თუმცა განცხადება შემდგომი რეაგირებისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროში გადაიგზავნა.

პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე დევნის ფაქტზე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი იქნა კიდევ ერთი, „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის“ გამგეობის თავმჯდომარის, ლელა ცისკარიშვილის, განცხადება.[85] განცხადების თანახმად, 2024 წლის მაისიდან სხვადასხვა პირის მხრიდან ადგილი აქვს „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის“, მისი წევრი არასამთავრობო ორგანიზაციების („ადამიანის უფლებათა ცენტრი“, „უფლებები საქართველო“, „მედიის ინსტიტუტი“, „საფარი“) ხელმძღვანელი პირებისა და ორგანიზაციაში დასაქმებული პირების დევნას, რომელიც უკავშირდება მის პროფესიულ, საზოგადოებრივ მოღვაწეობას. განცხადების მიხედვით, აღნიშნული გამოიხატება ორგანიზაციის ტერიტორიაზე სხვადასხვა შეურაცხმყოფელი წარწერის განთავსებაში, ისევე, როგორც მობილურ ტელეფონებსა და სატელეფონო აპლიკაციებში მუქარის შემცველ და შეურაცხმყოფელ კომუნიკაციაში. ამავე განცხადების თანახმად, 2024 წლის 9 მაისს „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის“ ეზოს შესასვლელ კარებზე სამი პირის მიერ განთავსებულ იქნა ე.წ. „პოსტერები“ „საფარის“ აღმასრულებელი დირექტორის, ბაბუცა პატარაიას, „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ დირექტორ ალექსანდრე ცქიტიშვილისა და „უფლებები საქართველოს“ დირექტორის, ვლადიმერ მკერვალიშვილის, ფოტოსურათებით. 1 ივნისს კი ოფისის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ იქნა შეურაცხმყოფელი წარწერები. განმცხადებელმა, **ზემოაღნიშნული ინფორმაციით, 2024 წლის 6 ივნისის წერილით მიმართა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, თუმცა განცხადება შემდგომი რეაგირებისათვის, ამ შემთხვევაშიც, შინაგან საქმეთა სამინისტროში გადაიგზავნა.**

ბაბუცა პატარაიას საქმესა და ლელა ცისკარიშვილის განცხადებებზე რეაგირების მიზნით, აპარატმა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მიმართა და ინფორმაცია გამოითხოვა. მიღებული პასუხის თანახმად, აღნიშნული განცხადებები შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტს.[86]

გარდა ზემოთ აღნიშნული საქმეებისა, სახალხო დამცველის აპარატმა, 2024 წლის 07 მაისს, საკუთარი ინიციატივით დაიწყო საქმისწარმოება ლადო აფხაზავას საქმეზე.[87] კერძოდ, მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად,[88] ქ. ლანჩხუთში, რამდენიმე ადამიანი თავს დაესხა პედაგოგ ლადო აფხაზავას და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნული თავდასხმა უკავშირდებოდა მის მიერ საჯაროდ დაფიქსირებულ პოზიციას „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონთან დაკავშირებით და მის მონაწილეობას საპროტესტო აქციებში. ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, შედგა სატელეფონო კომუნიკაცია ლადო აფხაზავასთან, რომელმაც დაადასტურა მასზე განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტი და განმარტა, რომ 2024 წლის 5 აპრილს, საღამოს საათებში, საცხოვრებელი სახლის სადარბაზოსთან დახვდა ავტომობილი, რომელშიც

[85] განცხადება N3165/2024, 05.07.2024.
[86] წერილები: 1) SIS 2 24 00013300, 11/07/2024; 2) SIS 0 24 00013993, 22/07/2024.
[87] ოქმი №964/ო2024.
[88] ხელმისაწვდომია ბმულზე: https://shorturl.at/wWPnb

იმყოფებოდა მისი უბნელი რამდენიმე პირი, მათ შორის ერთ-ერთი მათგანი სასწრაფო სამედიცინო ეკიპაჟის მძღოლია. აღნიშნული პირები აყენებდნენ მას სიტყვიერ შეურაცხყოფას (აგინებდნენ) და ეძახდნენ ნაციონალს, რის შემდეგაც ამოიღეს საბარგულიდან ხის ჯოხები და ფიზიკური დაზიანებები მიაყენეს მას და მის თანხმლებ პირს, მცირე საოჯახო ტიპის ყოფილ აღსაზრდელს, რომელიც ამჟამად ლადო აფხაზავას მზრუნველობის ქვეშაა, არის 20 წლის და აქვს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები. აღნიშნულ ფაქტზე რეაგირების მიზნით, ლადო აფხაზავა დაუკავშირდა 112-ს და გამოიძახა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი.

2024 წლის 13 მაისს, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას.[89] პროკურატურის 2024 წლის 16 მაისის პასუხის თანახმად,[90] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე, ვლადიმერ აფხაზავა და ლ.ფ. ცნობილნი არიან დაზარალებულებად, ხოლო ერთ პირს, კ.ფ.-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 11 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

2024 წლის 07 აგვისტოს, სახალხო დამცველის აპარატს პოლიციელების მხრიდან სავარაუდო უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე მომართა ა(ა)იპ „სოციალური სამართლიანობის ცენტრმა.“ კერძოდ, განცხადების თანახმად, 2024 წლის 9 ივლისს, მოქალაქე იმყოფებოდა ქ. თბილისში, მუხიანის დასახლებაში გობრონიძის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ ავტობუსის გაჩერებაზე, როდესაც მას მიუახლოვდა სამოქალაქო ტანსაცმელში მყოფი სამი პირი და იდენტიფიცირების მიზნით, შესაბამისი დოკუმენტის წარდგენა მოსთხოვა. მოქალაქე, დარწმუნების მიზნით, რომ ნამდვილად სამართალდამცავებთან ჰქონდა კომუნიკაცია, მათ სამსახურეობრივი მოწმობის წარდგენა მოსთხოვა. მას შემდეგ, რაც მოქალაქე დარწმუნდა მათ ვინაობაში, პოლიციის ერთ-ერთ თანამშრომელს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა წარუდგინა. ვინაიდან პოლიციელების მხრიდან საუბრის მანერა და ტონი იყო უხეში, არაეთიკური და დამამცირებელი, მოქალაქემ მათ შორის არსებული კომუნიკაციის მობილურის მეშვეობით გადაღება დაიწყო. მობილურით ინციდენტის გადაღება პოლიციის თანამშრომლებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, რის გამოც იგი არაპროპორციული ზომის გამოყენებით, თვითნებურად დაკავეს. პოლიციის განყოფილებისკენ მიმავალ გზაზე, პოლიციის ავტომობილში ყოფნისას, პოლიციის თანამშრომლები მოქალაქეს აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას, ამავდროულად მოახდინეს მისი პირადი და კუთვნილი ჩანთის უკანონო ჩხრეკა. პოლიციის განყოფილებაში მიყვანისას შემდეგ კი მის მიმართ პოლიციის თანამშრომლები იყენებდნენ აშკარა სიძულვილით მოტივირებულ მიმართვებს, რაც დაკავშირებული იყო სექსუალურ ორიენტაციასთან, აბორტსა თუ ცხოველების მოკვლაზე მის პოზიციასთან. პოლიციის განყოფილებაში ყოფნისას მას იძულებით წააშლევინეს ვიდეოც, რომელსაც ის გაჩერებაზე ყოფნის მომენტში იღებდა. ამის შემდეგ მოქალაქე დააკავეს და გადაიყვანეს გურჯაანის დროებითი მოთავსების იზოლატორში. განცხადების თანახმად, ამ დროის განმავლობაში მას არ მიეცა საშუალება დაკავშირებოდა ადვოკატს და ოჯახის წევრებს. ასევე, განცხადების თანახმად, 2024 წლის 22 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა მოქალაქე ლ.კ-ის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, რომელზეც მას

[89] წერილი № 2024/1038.
[90] წერილი №13/32005.

შსს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 173-ე მუხლის 1-ლი მუხლით განსაზღვრული ქმედების, პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს ედავებოდა. სასამართლომ მოქალაქეს სიტყვიერი შენიშვნა გამოუცხადა და განმარტა, რომ მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას, ხოლო სიტყვიერი შეურაცხყოფის ნაწილში სამართალდამრღვევად ცნო.

პოლიციელების მხრიდან სავარაუდო უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, 2024 წლის 18 ივლისს გამოძიება დაიწყო სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებას ძალადობის ან იარაღის გამოყენებით. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის პასუხის თანახმად, საქმეზე გამოიკითხა 7 პირი, მათ შორის, ლ.კ. და საქმესთან შემხებლობაში მყოფი 6 პირი.[91]

სამართალდამცავთა მხრიდან ჰომოფობიური და შეურაცხმყოფელი დამოკიდებულების გამოვლენას შეეხება სახალხო დამცველის წარმოებაში არსებული კიდევ ერთი საქმე.[92] განმცხადებლის განმარტებით, 2024 წლის 19 ივლისს დაახლოებით 00:00 საათზე მოქალაქე ვ.ხ. მეგობარს გაჰყვა ბათუმის პოლიციის მე-7 განყოფილებაში, სადაც 40 წლამდე, ჭაღარა თმით პოლიციელმა, რომელიც მას განყოფილების უფროსად გაეცნო და ჰომოფობიური განცხადებებით გამოირჩეოდა, შეურაცხყოფა მიაყენა, რასაც სხვა პოლიციელთა მხრიდანაც სიცილი მოჰყვა. განცხადების თანახმად, აღნიშნულთან დაკავშირებით, ვ.ხ.-მ იმავე ღამეს დარეკა გენერალური ინსპექციის ცხელ ხაზზე, რამაც სიტუაცია კიდევ უფრო მეტად გაამწვავა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, 2024 წლის 09 აგვისტოს, სახალხო დამცველის აპარატმა შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმის მასალებისა და ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით მიმართა.[93] სამინისტროს 2024 წლის 26 ნოემბრის პასუხის თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში ჩატარებული სამსახურეობრივი შემოწმების შედეგად, ქ. ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მეშვიდე განყოფილების თანამშრომლების მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ფაქტი არ დადასტურდა. ასევე, წარმოების ფარგლებში, სატელეფონო გასაუბრება შედგა შეტყობინების ინიციატორთან, რომლის განმარტებით, სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში მიმდინარე სამსახურეობრივი შემოწმების შედეგებზე ინფორმირებას არ საჭიროებდა.[94]

2024 წლის 20 ოქტომბერს, ქ. თბილისში, ორთაჭალის ავტოსადგომზე, ტრანსგენდერ ქალზე ნატა ტალიკაშვილზე თავდასხმა მოხდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის აპარატმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა.[95] სამინისტროს 2024 წლის 23 ოქტომბრის პასუხის თანახმად,[96] ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს პოლიციის III სამმართველოში

[91] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 22/08/2024 პასუხი SIS 8 24 00016079.
[92] განცხადება N4034/2024.
[93] წერილი № 2024/3647.
[94] წერილი MIA 1 24 03591714.
[95] წერილი №2024/5572.
[96] წერილი MIA 6 24 03238540.

მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, ნატა ტალიკიშვილის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. სისხლის სამართლის საქმეზე, შეკრებილ მტკიცებულებათა საფუძველზე, მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილებით დ.ფ. ცნობილია ბრალდებულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და **ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებულია გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივზე.**

დისკრიმინაციის წახალისება

წინა წლების მსგავსად, მიმდინარე საანგარიშო წელსაც გამოვლინდა დისკრიმინაციის წახალისების სხვადასხვა შემთხვევა, რაც ნეგატიურად აისახება თანასწორი და ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბებაზე. პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართული ქალების მიმართ სექსისტური რიტორიკა კვლავაც აქტიურად გამოიყენებოდა, რაც მიზნად ისახავდა მათი როლის დაკნინებას და საზოგადოებრივ დისკურსში მათი მონაწილეობის შეზღუდვას. ასევე, თვალსაჩინო იყო, წინასაარჩევნო პერიოდში, ჰომოფობიური ნარატივების გავრცელება. გარდა ამისა, გამოიკვეთა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ სტიგმის შემცველი განცხადებებიც. აღნიშნული შემთხვევები ნათლად მიუთითებს დისკრიმინაციის წინააღმდეგ უფრო აქტიური და პრინციპული ბრძოლის საჭიროებაზე.

წინასაარჩევნო პერიოდის დაწყებისთანავე, სახალხო დამცველმა პოლიტიკური პარტიის წევრებს ღიად მოუწოდა სიძულვილის ენისგან თავისუფალი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფისა და საქმიანი, საარჩევნო პროგრამებზე ორიენტირებული დისკუსიის წარმართვისკენ[97]. გავრცელებულ განცხადებაში სახალხო დამცველმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დისკრიმინაციის წახალისება და სიძულვილის ენის გამოყენება არათუ არღვევს თანასწორობისა და დემოკრატიის პრინციპებს, არამედ ძირს უთხრის სამართლიანი საარჩევნო პროცესის ლეგიტიმურობას. პოლიტიკური მიზნებისთვის, სიძულვილის ენის გამოყენება დაუშვებელია და მის აღმოფხვრაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ როგორც პოლიტიკურ აქტორებს, ისე მედიას, რომელთაც საერთო ძალისხმევით თანასწორი და სამართლიანი საარჩევნო გარემოს ფორმირებას უნდა შეუწყონ ხელი.

სახალხო დამცველი წლებია ყურადღებას ამახვილებს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართული ქალების მიმართ სექსისტური დამოკიდებულებისა თუ ფრაზების პოლიტიკური ბრძოლის იარაღად გამოყენების მანკიერ პრაქტიკაზე. ოპონენტების მხრიდან, პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართული ქალების მისამართით, სექსუალური კონოტაციის მქონე ფრაზების გამოყენება და ამ ფორმით მათი უღირს ქალებად წარმოჩენის მცდელობა, განსაკუთრებით შემაშფოთებელია, რამდენადაც უარყოფით გავლენას ახდენს ქალთა

[97] სახალხო დამცველის 2024 წლის 2 სექტემბრის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/49PHov0

თანასწორუფლებიანობაზე, ქმნის ინსტრუმენტალიზების საშიშ პრეცედენტს და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობას აკნინებს[98].

საანგარიშო პერიოდში, ასევე, გამოიკვეთა სამოქალაქო აქტივიზმსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართული ქალების მიმართ სექსისტური და შეურაცხმყოფელი ტერმინების გამოყენების შემთხვევებიც.[99],[100]

საანგარიშო წელს შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის წახალისების შემთხვევებიც გამოიკვეთა, რაც, წლებია, საჯარო დისკურსში ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. პოლიტიკოსებისა და მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისადმი სტიგმის შემცველი განცხადებების გავრცელებას სახალხო დამცველი წლის მანძილზე რამდენჯერმე გამოეხმაურა და დისკრიმინაციული რიტორიკის დაუშვებლობასა და თანასწორობის დაცვის მნიშვნელობაზე ხაზგასმით მიუთითა[101].

აღსანიშნავია ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხის პირის პროფესიული და პიროვნული დისკრედიტაციის ინსტრუმენტად გამოყენება, რაც ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირების მიმართ შიშებისა და ნეგატიური დამოკიდებულებების გაღვივებას იწვევს. ასევე, აძლიერებს სტიგმას, რაც ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირებს დამატებით ბარიერებს უქმნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისა და საჭირო მხარდაჭერის მიღებაში. აუცილებელია, საჯარო გამოსვლებში ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხების გამოყენება მოხდეს პასუხისმგებლობით და ეთიკური პრინციპების დაცვით, რათა თავიდან იქნეს აცილებული სტიგმის გავრცელება და პირების დისკრედიტაცია მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

თანასწორობის უფლების დაცვის მიმართულებით სახალხო დამცველის საქმიანობა

ინდივიდუალური საქმეების შესწავლა

---

[98] სახალხო დამცველის 2024 წლის 3 აპრილის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/5dz8xbs2

[99] საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი კობახიძის, მიერ მედიასთან გამართულ შეხვედრაზე ჟურნალისტ ეკა მიშველაძის მიერ დასმულ შეკითხვას ბექა ოდიშარია შემდეგი შინაარსის ფრაზით გამოეხმაურა - „ათას კვერცხზე გადამჯდარო მიშველაძევ“, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/2r6pbar2

[100] სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნიის ადმინისტრაციის უფროსმა ლაშა გვასალიამ აქტივისტ ქალებს მიმართა - „ქუჩის ქალებო, ძაღლთა წილად დარჩენილო ნეხვმღილებო“, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/4xnx4fzy

[101] სახალხო დამცველის 2024 წლის 20 ივნისის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/3n4x4nbp; სახალხო დამცველის 2024 წლის 27 აგვისტოს განცხადება, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/yck256h4; სახალხო დამცველის 2024 წლის 24 მაისის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/2uf2rnb6

2024 წელს, სახალხო დამცველმა ჯამში სავარაუდო დისკრიმინაციის **127 ფაქტი** შეისწავლა, საიდანაც, **10 შემთხვევაში,** წარმოება საკუთარი ინიციატივით დაიწყო.

შესწავლილი ფაქტებიდან ყველაზე მეტი - 29 **განსხვავებული მოსაზრების** ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევას შეეხებოდა. რიცხობრივი მაჩვენებლით, მეორე ადგილზეა **სქესის/გენდერის** ნიშანი - 18 საქმე, საიდანაც 7 შემთხვევაში განმცხადებლები **სექსუალურ შევიწროების ფაქტებზე** მიუთითებდნენ. რაოდენობრივად მესამე ადგილზეა **შეზღუდული შესაძლებლობის** ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევები - 12 საქმე, რასაც მოსდევს **პოლიტიკური შეხედულების/კუთვნილების** ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევები - 9 საქმე. **სექსუალური ორიენტაციის** ან/და **გენდერული იდენტობისა და რელიგიის** ნიშანზე სახალხო დამცველმა - 7-7 საქმეში იმსჯელა, ხოლო **ეთნიკური კუთვნილების** ნიშნით დისკრიმინაციაზე - 6 შემთხვევაში. **ეროვნების/მოქალაქეობისა და ასაკის** ნიშანს 4-4 საქმე მიემართებოდა. ასევე, 3 შემთხვევაში სახალხო დამცველმა **პროფესიული კავშირის წევრობის** ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი შეისწავლა, ხოლო **სხვა ნიშანი** - 28 საქმეში გამოიკვეთა.



წარმომადგენლობის მიმართულებით, საგულისხმოა, რომ საანგარიშო წელსაც განმცხადებლების უმრავლესობა სახალხო დამცველს წარმომადგენლის გარეშე მომართავდა. 127 საქმიდან წარმომადგენელი ჩართული იყო **28 შემთხვევაში**. ამათგან, „თანასწორობის

კოალიციის“[102] წევრი ორგანიზაციები განმცხადებლებს **13 საქმეში** წარმოადგენდნენ. საყურადღებოა, რომ გასული წლებისგან განსხვავებით, წელს პირველად კერძო სექტორიდან მომდინარე სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევებმა საჯარო სექტორს გადააჭარბა. კერძოდ, შემთხვევების უმეტესობა - **71 შემთხვევა** კერძო სექტორში ან/და ფიზიკური პირების მიერ ჩადენილ სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტებს შეეხებოდა, ხოლო **56 პირი** საჯარო დაწესებულებებში მომხდარ უთანასწორო მოპყრობაზე მიუთითებდნენ.



2024 წელს სახალხო დამცველმა თანასწორობის საკითხებზე **7** რეკომენდაცია და **4** ზოგადი წინადადება მოამზადა. ასევე, **2** შემთხვევასთან მიმართებით მორიგების აქტი გააფორმა[103]. ხაზგასასმელია, რომ 2014 წლიდან, მას შემდეგ, რაც ამოქმედდა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი, სახალხო დამცველმა პირველად მიაღწია ამავე კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ - მხარეთა მორიგებას.

საგანმანათლებლო საქმიანობა

თანასწორობის უფლების დაცვის მიმართულებით, სახალხო დამცველის საქმიანობა, საქმისწარმოების გარდა, არაერთ საგანმანათლებლო აქტივობას მოიცავდა.

---

[102] **„კოალიცია თანასწორობისთვის“** წევრები არიან: საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი (OSFG); სოციალური სამართლიანობის ცენტრი; უფლებები საქართველო; კავშირი „საფარი“; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA); ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG); პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR); საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI); ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI); ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC); თანასწორობის მოძრაობა

[103] ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/4fjsnnj8; https://tinyurl.com/3dzdx85d

შეხვედრის მონაწილეთა ჯამურმა ოდენობამ - **407 შეადგინა.** საგულისხმოა, რომ აღნიშნული შეხვედრები და ტრენინგები მნიშვნელოვნად ხელს უწყობს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებში თანასწორობის პრინციპების გაღრმავებასა და დისკრიმინაციის პრევენციას, რაც დეპარტამენტის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზანია.

საანგარიშო წლის განმავლობაში, თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა **20-მდე საინფორმაციო შეხვედრა და ტრენინგი** წარმატებით განახორციელეს, რაც მიზნად ისახავდა სხვადასხვა სოციალური ჯგუფისა და პროფესიული წრის წარმომადგენლებისთვის ცნობიერების ამაღლებასა და თანასწორობის პრინციპებისა და შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. შეხვედრები/ტრენინგები შედგა **კერძო სექტორის 113 წარმომადგენელთან,** რომელთაც ინფორმაცია მიეწოდათ თანასწორობის სტანდარტებისა და დისკრიმინაციის პრევენციის მნიშვნელობის შესახებ; **73 სტუდენტთან; 124 სკოლის მოსწავლესთან,** რომელთათვისაც ტრენინგები იყო ადაპტირებული მათი ასაკის შესაბამისად და მიზნად ისახავდა ტოლერანტობისა და ინკლუზიური ღირებულებების წახალისებას; **19 მასწავლებელთან,** რომლებიც გაეცნენ სასწავლო პროცესში თანასწორობის პრინციპების ინტეგრირების მეთოდებს; სხვადასხვა **რელიგიური ორგანიზაციის 15 წარმომადგენელი; უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებთან და ადვოკატთა ასოციაციის 20 წევრთან,** რომლებმაც, ტრენინგების საშუალებით, შეიძინეს ახალი ცოდნა დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი ინსტრუმენტების შესახებ.

შეხვედრები, ასევე, შედგა სომხეთის რესპუბლიკის სამთავრობო დელეგაციის წევრებთან[104] და თურქეთის ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის ინსტიტუტის (HREIT) წარმომადგენლებთან[105]. შეხვედრები მიზნად ისახავდა, სახალხო დამცველის, როგორც დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმის მანდატისა და საქმეთა შესწავლის მეთოდოლოგიის გაცნობასა და სხვადასხვა სფეროში გამოვლენილი დისკრიმინაციის შემთხვევების საუკეთესო პრაქტიკული მაგალითების განხილვას.

საგულისხმოა, რომ კერძო სექტორში თანასწორობის საკითხების ხელშეწყობა და დისკრიმინაციის პრევენცია სახალხო დამცველის პრიორიტეტულ მიმართულებებს შორის იყო. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა კერძო კომპანიებისთვის ცნობიერების ამაღლებაზე, რათა მათი თანამშრომლებისთვის თანასწორობის პრინციპები და სექსუალური შევიწროების პრევენციის საკითხები უფრო ხელმისაწვდომი და გასაგები გამხდარიყო. აღსანიშნავია, რომ ორმა კერძო კომპანიამ - შპს „ატლანტიკ საქართველომ“ და „თეგეტა ჰოლდინგმა“, გამოთქვეს სურვილი, სახალხო დამცველის წარმომადგენლებს მათი ორგანიზაციის თანამშრომლებისთვის ტრენინგები ჩაეტარებინათ, რომლებიც ფოკუსირებული იქნებოდა თანასწორობის არსზე, სექსუალური შევიწროების პრევენციაზე და

[104] ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/4nmv8yft

[105] ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/mrv474nm

ამ საკითხებზე არსებული სამართლებრივი სტანდარტების პრაქტიკულ დანერგვაზე[106]. ეს ინიციატივა ხაზს უსვამს კერძო სექტორის მზაობას, გაიზარდოს ინფორმირებულობა და გაამყაროს ინკლუზიური და უსაფრთხო სამუშაო გარემო, რასაც სახალხო დამცველი მიესალმება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, შრომის ინსპექციის სამსახურთან თანამშრომლობითა და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ეკონომიკის სხვადასხვა დარგის კერძო სექტორისა და საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლებთან ტრენინგი - „თანასწორობის უფლება და დისკრიმინაციის აღმოფხვრა: პრევენცია და რეაგირების მექანიზმები“ გამართეს[107]. ტრენინგის ფარგლებში, მონაწილეებმა დეტალური ინფორმაცია მიიღეს თანასწორობის არსზე, დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპზე, ფორმებსა და ძირითად მახასიათებლებზე.

სახალხო დამცველი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა თანამშრომლების უნარ-ჩვევებისა და პროფესიული კვალიფიკაციის გაუმჯობესებასაც, რისთვისაც USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლებს მედიაციასა[108] და სამართლებრივ წერაში[109] ტრენინგები ჩაუტარდათ. მედიაციის ტრენინგის ჩატარება განპირობებული იყო იმით, რომ სახალხო დამცველის, როგორც დისკრიმინაციასთან ბრძოლის ეროვნული მექანიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლებამოსილება ზეპირი მოსმენის ჩატარება და მხარეთა შორის დავის მორიგებით დასრულებაა. ამ პროცესის ეფექტურად წარმართვა კი მედიაციის პრაქტიკული უნარების სრულფასოვან ფლობას მოითხოვს, რაც მხარეთა ინტერესების დაცვისა და კონფლიქტების სამართლიანი გადაწყვეტის საწინდარია. სამართლებრივი წერის ტრენინგი კი მიზნად ისახავდა სამართლებრივი წერის სტანდარტების დახვეწასა და პრაქტიკული ცოდნის გაღრმავებას. აღნიშნული უნარების განვითარება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სამართლებრივი პროცესების ხარისხის გაუმჯობესებასა და დეპარტამენტის საქმიანობის სტანდარტების ამაღლებას.

სახალხო დამცველის, როგორც თანასწორობის ეროვნული მექანიზმის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, თანასწორობის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა მონაწილეობა მიიღო ალბანეთის დისკრიმინაციისგან დაცვის კომისრის, თანასწორობის ორგანოების ევროპული ქსელისა (Equinet) და ევროკავშირის ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX) ძალისხმევით გამართულ ერთობლივ სამუშაო შეხვედრაში თემაზე - „თანასწორობის ორგანოების სტანდარტები“[110] და

[106] ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/4ah54y9w
[107] ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/yvjj3xpa
[108] ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/3hfmzkkk
[109] ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/mw6hnt5a
[110] ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/38tsth4r

ევროპის საბჭოს ორგანიზებით გამართულ სემინარში - „სიძულვილის ენის და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების დაძლევის პროცესში თანასწორობის ორგანოების როლი“[111]. შეხვედრები მიზნად ისახავდა ეროვნულ დონეზე არსებული გამოწვევების და საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების განხილვასა და კარგი პრაქტიკული მაგალითების გაზიარებას.

დასკვნა

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამ შესაძლებელი გახადა დისკრიმინაციის არაერთი სავარაუდო ფაქტის აღმოფხვრა და, ასევე, სახალხო დამცველის რეკომენდაციების მიღების შემდეგ მოპასუხეებმა შეწყვიტეს დისკრიმინაციული ქმედებები.

მნიშვნელოვანია ახალი საკონონმდებლო ინიციატივების შედეგად საფრთხის წინაშე არ დადგეს ამ დრომდე თანასწორობის მიმართულებით მიღწეული პროგრესი და სახელმწიფოს გააჩნდეს თანასწორობის უფლების სისტემური პოლიტიკა, რომლის ფარგლებშიც მკაფიოდ გამოვლინდება სახელმწიფოს პოლიტიკური ნება ხელი შეუწყოს თავისუფალი, თანასწორი, მრავალფეროვანი და ინკლუზიური საზოგადოების მშენებლობას.

რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტს/საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს:

- საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანოს „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით;
- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტის სასახლეში, უსაფრთხოების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2023 წლის 4 სექტემბრის N1/259/23 ბრძანების შესაბამისად,

[111] ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/4zsauxcn

უსაფრთხოების ყვითელი დონის მოქმედებისას, მედიის წარმომადგენლებს, საქმიანობის პლატფორმის მიუხედავად, მიეცეთ პარლამენტის სასახლეში შესვლისა და საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა;

- უზრუნველყოს ეთიკის კოდექსის პრაქტიკაში რეალური შესრულება ქმედითი მექანიზმის ფარგლებში და პარლამენტის წევრების მხრიდან დისკრიმინაციის წამახალისებელი ენის გამოყენების შემთხვევაში, გაატაროს ეთიკის კოდექსით დადგენილი დისციპლინური სანქციები.

საქართველოს პარლამენტს და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებს:

- საქართველოს პარლამენტმა და ადგილობრივმა თვითმმართველობის ორგანოებმა უზრუნველყონ სპეციალური დროებითი ღონისძიებების - გენდერული კვოტების აღდგენა ან საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებული სხვა ეფექტიანი მექანიზმების დაწესება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა პარლამენტსა და საკრებულოებში.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს:

- ცვლილებები შეიტანოს „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრის წარმოების, საფინანსო დეკლარაციის წარდგენისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ იუსტიციის მინისტრის 2024 წლის 1 აგვისტოს №1019 ბრძანებაში ისე, რომ რეგისტრაციის ვალდებულების მქონე ორგანიზაციების მიერ წარდგენილ დეკლარაციებში მითითებულ ფიზიკურ პირთა, მათ შორის, დასაქმებულთა სახელი და გვარი საჯაროდ გამოქვეყნებას არ დაექვემდებაროს.

საქართველოს პროკურატურას:

- უზრუნველყოს შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების კუთხით კვალიფიკაციის ასამაღლებლად თანამშრომელთა განგრძობადი გადამზადება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- უზრუნველყოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების ინტენსიური და განგრძობადი გადამზადება საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების საკითხებზე;
- შეიმუშავოს შიდა რეგულაციები/დანერგოს პრაქტიკა, რის შედეგადაც, უზრუნველყოფილი იქნება საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების მსხვერპლების ინფორმირება შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების შედეგების თაობაზე.

საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შენობა/ნაგებობებზე და ინფრასტრუქტურაზე ფიზიკური წვდომის უზრუნველსაყოფად დროულად შეიმუშაოს მისაწვდომობის ეროვნული გეგმა, ხოლო ინფორმაციასა და საკომუნიკაციო საშუალებებზე შესაბამისი სტანდარტები;
- გამოიკვლიოს სამედიცინო დაწესებულებებისა და მათ მიერ შეთავაზებული სერვისების შეზღუდული შესაძლებლობის, მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა მისაწვდომობის საჭიროებები. ასევე, უზრუნველყოს სამედიცინო საქმიანობაში ჩართული პირების მნიშვნელოვანი ნაწილის გადამზადება ნებისმიერი შეზღუდვის, განსაკუთრებით, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირებთან სათანადო კომუნიკაციის ასპექტებზე.

სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს:

- გააძლიეროს მუშაობა დამსაქმებელთა ცნობიერების ამაღლების, მათ შორის, გონივრული მისადაგების პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებით; სამუშაო ადგილებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური მხარდაჭერის სერვისების/თანამედროვე დამხმარე ტექნოლოგების დანერგვისა და დროებითი წამახალისებელი მექანიზმების შემუშავების მიმართულებით.